გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 60
(11 414)

1 – 3 აგვისტო, 2000 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ქუთა ისელის განცხადებები

წაბაძვით!

სეკვესტრული ათი მცნება ქართული სპორტის, სპორტსმენების და სპორტული მუშაკებისათვის

დამტკიცებულია სეკვესტრის შესაბამისად 2000 წლიდან:

1. მძლეოსნობასა და ცურვაში ყველა დისტანცია შემცირდეს 60 პროცენტით
2. ჭიდაობებში ხუთწუთიანი რეგლამენტი დაყვანილ იქნას 2 წუთამდე
3. ფეხბურთში ტაიმების ხანგრძლივობა შემცირდეს 30 წუთამდე, ხოლო 9-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა 6 მეტრამდე. სპორტთამაშების სხვა სახეობებში ჩემპიონები გამოვლინდეს „არიოლ-რეშკით“
4. ჭადრაკში ჩატარდეს მხოლოდ 3-5 წუთიანი პარტიები
5. მთამსვლელებმა თავი შეიკაონ წყნეთზე უფრო მაღალი მთების დალაშქვრისაგან
6. ტყვიის სროლასა და მშვილდოსნობაში ვარჯიშები ჩატარდეს „ლაგატკით“
7. შექმნილ კრიმინოგენურ სიტუაციიდან გამომდინარე სპორტსმენებისა და მწვრთნელების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აიკრძალოს ყოველგვარი სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები
8. მოწონებულ იქნას სპორტის ეროვნულ სახეობათა ფედერაციების მოწინავე გამოცდილება (რომელთაც 12 წელზე მეტია არ ჩაუტარებიათ ჩემპიონატები)
9. დაწუნებული იქნას სპორტსმენთა მიერ მოპოვებული ოლიმპიური თამაშების ლიცენზია, აგრეთვე მწვრთნელთა და სპორტის მუშაკთა გაწეული საქმიანობა
10. მხედველობაში იქნას მიღებული, რომ ფინანსთა სამინისტრო ამზადებს პროექტს, რომლის მიხედვითაც 2000 წლის სიდნეიში ოლიმპიადა საქართველოსათვის იქნება უკანასკნელი.

შენიშვნა: სპორტის ყველა სხვა დანარჩენ ფედერაციებსაც უფლება ეძლევათ დამოუკიდებლად ჩაატარონ სეკვესტრი.

საიმედო წყაროებზე დაყრდნობით მასალა მოგვაწოდა
ვაჟა ნუცუბიძემ

ვულოცავთ!

ფიდეს დადგენილებით, ნიჭიერ ქართველ მოჭადრაკეს, ფიდეს ოსტატ 16 წლის ***ზვიად იზორიას***, რომელიც წლეულს საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი გახდა და მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში მონაწილეობდა, მიენიჭა საერთაშორისო ოსტატის წოდება.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ფეხბურთში საქართველოს 2000-2001 წლების XII ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის კალენდარს, რომელიც წარდგენილია სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე დასამტკიცებლად.

სპორტის მოძულების ტენდენციები საქართველოში!

ბევრი ცდილობს და სურს სხვებიც დაარწმუნოს, რომ ქართული სპორტის დღევანდელობა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის ანარეკლია. ასეთი შეფასება თვით ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს – იმას რა სჯობს შენს სათქმელს სხვა თუ იტყვის და „ნამუსს მოგწმენდს“. ასეთები კი ოპოზიციურ პარტიებში თუ გამოჩნდებიან, რაც სულაც არ არის იშვიათობა, ხომ პირდაპირ ბედნიერებაა.

რა გასაკვირია, როცა ოპოზიცია და ისინიც, ვისაც კრიჭაში უდგანან ოპოზიციონერები, ერის ღირსების დაცვის საკითხებში განსხვავებული აზრი რომ არ ჰქონდეთ. ამას ხალხი კარგად გაიგებს და შეაფასებს. ვაკვირდებით, ვაკვირდებით და, იცით რა დასკვნამდე მივდივართ? ქართული სპორტის მოძულების საკითხში დაპირისპირებული პარტიებიც კი ერთ პოზიციაზე დგანან. მეტიც, არსად არ იგრძნობა მათი იმდაგვარი ერთსულოვნება, როგორც ქართული სპორტის მოძულებაში.

იქნებ თქვენ წაგიკითხავთ ან მოგისმენიათ, რომ რომელიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერს განგაშის ზარები შემოეკრას ხელისუფლებისათვის გასაგონად: რას შვრებით ხალხო, ოლიმპიური თამაშები ახლოვდება, თქვენ კი არხეინად ხართო. სხვა მხრივ კი, ყველა ერთნაირადაა ჩასაფრებული, ოღონდ რაიმე საკბილო ნახონ და ქართული სპორტის დაქცევის მიზეზებს, გნებავთ, სუბიექტურ ბრალდებამდე დაიყვანენ.

ერთადერთი კაცი, ადრეც ვთქვით და, კიდევ გავიმეორებთ, ქვეყნის პრეზიდენტია, რომელიც ყველას მოუწოდებს ქართული სპორტის თანადგომისაკენ. თანამდგომნი კი სდუმან. რჩება შთაბეჭდილება, რომ დანარჩენებს არა თუ სტიმულს აძლევს პრეზიდენტის მოწოდება, არამედ აღიზიანებთ კიდეც. თუმცა ამას გარეგნულად იშვიათად ამჟღავნებენ თუ ვინმეს სადმე, ნებით თუ უნებლიედ, „ზღვარგადასული სიბრძნე“ არ წამოსცდა.

გამორჩეული კაცი, რომელმაც ასეთი „სიბრძნე“ ხმამაღლა განაცხადა თავის წინა საარჩევნო პროგრამაში, რომელიღაც პარტიის ლიდერი, ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატი ვ. ელენტი იყო. მან დაახლოებით ასეთი რამ თქვა: მე თუ ამირჩევთ, საქართველოში სპორტს ამოვძირკვავო. იმ ქვეყანაში, სადაც ასეთ რამეს პრეზიდენტობის კანდიდატი გაბედავს, უკეთესი მეთაურის ღირსი ნამდვილად არ არიან. იფიქრა, იფიქრა ამ კაცმა, რით შეიძლება მოვიგო ამომრჩევლის გულიო და დაარწმუნა საკუთარი თავი, რომ ერთ-ერთი ხელსაყრელი მოტივი ქართული სპორტის განქიქება იქნებოდა. ასეთი იაღლიში ქართულ სპორტში ჩაუხედავ რიგით მოქალაქეს რომ

დასაწყისი იხ. „ლელო“ №55-59.

იხ. მე-2 გვ.

SYDNEY 2000

ოლიმპიურ თამაშებს 45 დღე გვაშორებს

მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია. საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ბანკში გახსნა სპეციალური ანგარიში საქართველოს ოლიმპიელთა დასახმარებლად. ბანკის რეკვიზიტია: ბქბ მთაწმინდის ფილიალი. ა/ა №2700344, კოდი 220101666. სუბანგარიში 14700507 „ოლიმპიური თამაშები“.

ცნობილი გახდა, რომ რუსეთის სპორტული დელეგაცია 760 წევრით გაემგზავრება ოლიმპიურ თამაშებზე სიდნეიში. 15 აგვისტოს საბოლოოდ დადგინდება სპორტსმენთა სია. თამაშებზე აკრედიტებულია რუსეთის 78 ჟურნალისტი, მათ შორის 14 ფოტოკორესპონდენტია.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ...

მაიკლ ჩანგი

● **ლოს-ანჯელესის** საჩოგბურთო ცენტრში „მერსედესის“ დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ფინალში, რომელიც საკმაოდ ცხელ ამინდში ჩატარდა, ამერიკელი ჩოგბურთელები მაიკლ ჩანგი და ჟან-მაიკლ გემბილი შეხვდნენ ერთმანეთს. ჩანგი, რომელსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში არც ერთი ტურნირი არ მოეგო, ძალიანაც მოწადინებული იყო დაერღვია ეს ტრადიცია. პირველი სეტი გემბილმა 6:3 მოიგო, მეორე სეტში კი მას ნახევარფინალში მიღებული ტრავმა გაუმიზეზდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც ახერხებდა ღირსეული წინააღმდეგობა გაეწია მეტოქისათვის და საქმე ტაიკ-ბრეიკამდე მიიყვანა. აქ კი გემბილი ძლივს მოძრაობდა. ტაიკ-ბრეიკი ჩანგმა მოიგო, შემდეგ კი გემბილმა ჩანგს გამარჯვება მიულოცა. ამრიგად, 14-წლიან კარიერაში ჩანგმა 32-ე ტურნირი მოიგო.

● „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა გუშინწინ სპორტულ საზოგადოებას ლონდონის „არსენალიდან“ გადმოყვანილი ფორვარდი მარკ ოვერმარსი წარუდგინა, გუშინ კი ეს პატივი მეთოფეთა ასევე ყოფილ წევრს, ნახევარმცველ ემანუელ პეტის ერგო. იტყობინებიან, პეტის ახალი კონტრაქტი ოთხწლიანია. „ბარსელონას“ ორივე ფეხბურთელის შეძენა 42 მილიონი დოლარი დაუჯდა. 29 წლის პეტი საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი გახდა. პეტის ამჯერად საკლუბო ტურნირის მოგება განუზრახავს და მას დიდი იმედი აქვს, რომ ამ მიზანს „ბარსას“ შემადგენლობაში მიაღწევს.

ომარ მელუაშვილი ვეტერანთა შორის მსოფლიო პირველობის II პრიზიორია

ვაჟა ქვანიამ თავი „დინამოს“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად გამოაცხადა

ს.ქ. თბილისის „დინამოს“ გარშემო მიმდინარე მოვლენები კვლავ საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. კლუბის პრეზიდენტის მერაბ რატიანის 3 თვით დაპატიმრების შემდეგ, მის თანამდებობას ვაჟა ქვანია იჩემებს.

გუშინ, საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ვაჟა ქვანიამ განაცხადა, რომ იგი ოფიციალურად კლუბის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელია. წლეულს, მარტში, „დინამოს“ დირექტორატმა კლუბის პრეზიდენტად მერაბ რატიანი აირჩია, გენერალურ მდივნად – ვაჟა ქვანია. შემდეგ რატიანმა, მიზეზთა გამო, ქვანია თანამდებობიდან გაანთავისუფლა. მოკვეთილი მუშაკის თქმით, მისი განთავისუფლება უკანონოდ მოხდა. „დღის წესრიგში უნდა დამდგარიყო ვაჟა ქვანიას განთავისუფლების საკითხი, თან ეს მოხდებოდა მოტივაციით, თუ რატომ, რა საბაბით ხსნიდნენ სამსახურიდან. რატიანმა, სამწუხაროდ, მოვლენას დაასწრო და თავის გადაწყვეტილება პრესის საშუალებით გამოაცხადა ისე, რომ კლუბის დირექტორატის კრება არ ჩატარებულა“ – აცხადებს ვაჟა ქვანია და რატიანის ქმედებას მის მიმართ, უკანონოდ მიიჩნევს. ამიტომ თვლის, რომ იგი გენერალური მდივანია და რაკი რატიანი დაპატიმრებულია, კლუბის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლადაც თავს აცხადებს.

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი საკვალიფიკაციო მატჩი ქუთაისის „ტორპედოსა“ და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ შორის ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე, 2 აგვისტოს, 20 საათზე დაიწყება.

სპორტის მოძულების ტენდენციები საქართველოში!

პირველი გვერდიდან

მოსვლოდა, კიდევ არაფერი, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატს?..

არის თუ არა გამჯდარი ნიჰილიზმი თვით ჩვენს სპორტულ სამყაროში? სამწუხაროდ, არის. ცხადია, მხედველობაში არ გვყავს საქმის მუდამ ერთგული, უანგარო, უმწიკვლო ადამიანები. აგერ, ერთ-ერთი სოლიდური სპორტული ბაზის ხელმძღვანელი გამოდის და საჯაროდ აცხადებს: „ქართველები არ ვართ სპორტული ერი!“ ამ კაცს ან ფიზკულტურა ვერ განურჩევია სპორტისგან, ან ქართული სპორტის სიძულვილის დამკვიდრების მებაირაღტრეებს შეუერთა თავისი ხმა. არასპორტულ ერს განა შეიძლება ჰყავდეს ამდენი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი? მრავალმილიონიანი ქვეყნებიც კი, ხომ თუნდაც ერთ ოლიმპიურ ჩემპიონზე ოცნებობენ. ასეთ ერებს კი თითებზე ნამდვილად ვერ ჩამოთვლი მათი სიმრავლის გამო.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერში კიდევ ერთ საოცარ ფაქტს ამოიკითხავთ. თურმე სულ მალე ყოფილი საფეხბურთო გუნდი „ღარწყალი“ (შემდეგ – „წნორი“), სულ მალე, როგორც ამბობენ „მილანის“ სახელწოდებით მოგვევლინება, მცხეთაში – „იუვენტუსი“ გვეყოლება, ქუთაისში – „ინტერი“. რა არის ეს, თუ არა ეროვნული ღირებულებების ყოვლად საძრახისი გადაფასება?

საქართველო დღეს იოლოველებს ებრძვის, მინდა მკითხველმა დაიჯეროს და გაითვითცნობიეროს, რომ „იელოვას მოწმეებმა“ ქართულ სპორტშიც შეაღწიეს, ცხადია, არაპირდაპირი (თუმცა, ვინ იცის), არამედ ამ მოძრაობის შედარებითი მნიშვნელობით იმასთან, რაც ქართულ სპორტში ხდება. ვუწოდოთ მას პირობითად „უცხოური კაპიტალის მოწმეები“, რომლებიც „ფულის მახვილით“ ცდილობენ ჩვენში ყოველივე ეროვნულის ამოძირკვას. ჩვენც ვიყიდებით, ვიყიდებით, როგორც იტყვიან ორშაურად, ვიყიდებით სინდისის ქენჯნის გარეშე და ესაა ყველაზე დიდი ცოდვა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის, მისი ერის, შთამომავლობის წინაშე...

თენგიზ ბაჩეჩილაძე

გაგრძელება იქნება

რატომ არის მოღალატე გიორგი კოლუაშვილი?

რუსეთის სახელით მოასპარეზე 31 წლის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გიორგი კოლუაშვილს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე მედლების სოლიდური კოლექცია შეუგროვდა. ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულიღა აკლია. თამაშები სიდნეიში მისთვის, ალბათ, უკანასკნელი იქნება.

არის ასეთი სოფელი – ბანოჯა, რომელიც ქუთაისის მახლობლად მდებარეობს. ამ სოფელმა მსოფლიოს ორი სახელგანთქმული პიროვნება აჩუქა. ერთი იყო დიდი მაესტრო, ქორეოგრაფი, ამერიკული ბალეტის დამაარსებელი, ჯორჯ ბალანჩინი, მეორე კი ქვემძიმე კატეგორიაში ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გოგი კოლუაშვილი. სამწუხაროდ, ორთავემ სამშობლოდან მოშორებით გაითქვა სახელი. დიახ, უკვე 10 წელიწადია, რაც კოლუაშვილი რუსეთში გადაბარგდა და მაშინ, ეროვნული მოძრაობის პიკში, ბევრმა მისმა თანამემამულემ ეს ნაბიჯი ღალატად შერაცხა...

„სოფელში დიდი სახლი გვაქვს, მთელი 15 ოთახით – იგონებს გოგი. – მშობლები უმცროს ძმასთან ერთად ახლაც იქ ცხოვრობენ. სოფელში, აბა საქმეს რა გამოლევს, მეც რაღაცას ვრგავდი, მოსავალი მომყავდა, საქონელს დავდევდი ნახირში, ღვინოსაც ვწურავდი მამაჩემთან ერთად, თუმცა ლოთი არ ვიყავი – პირველად ღვინის გემო სკოლის დამთავრების შემდეგ ვიგემე და, იცით, ვინ დამაძალა? ვერასოდეს მიხვდებით – ჩემმა მწვრთნელმა, ღმერთმა აცხონოს – ჯემალ კოსტავამ“. თურმე, ნუ იტყვით, იმ დროს მოსკოვში, ჭაბუკთა საკავშირო პირველობის ფინალში გასული, გადამწყვეტი ორთაბრძოლის წინა დამეს ისე ნერვიულობდა, ვერ დაიძინა. კოსტავამ შეგირდს ერთი ჭიქა წითელი ღვინო დააძალა. უშველა, იმთავითვე ძილს მიეცა. მეორე დღეს მშვენიერ განწყობაზე გაეღვიძა. საბრალო მეტოქე თვალის დახამხამებაში ლეიბს ბეჭებით გააკრა. ეს იყო მისი პირველი სერიოზული წარმატება.

მერე ისევ დაუღალავი ვარჯიში, შეკრებები, შეჯიბრება შეჯიბრებას ცვლიდა, გამარჯვება – გამარჯვებას: სამჯერ მოიგო ჭაბუკთა საკავშირო პირველობა, არაერთი საერთაშორისო ტურნირი. 1989-ში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ოქროს მედალოსანიც გახდა. ყველაფერი ბრწყინვალედ მიდიოდა, საცაა ბარსელონაში საზაფხულო ოლიმპიადისთვის მზადება უნდა დაეწყო. სწორედ მაშინ არ გაუმართლა – ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მშფოთვარე პერიოდი დადგა. სანამ დამოუკიდებლობას ოფიციალურად გაიფორმებდნენ, ქართველი სპორტსმენები იზოლაციაში მოხვდნენ. რამდენიმე წელიწადი მოწყვეტილი იყვნენ საერთაშორისო შეჯიბრებებს. „ჭიდაობის ფედერაციის მესვეურები გვპირდებოდნენ, რომ სულ მალე ყველაფერი მოგვარდებოდა, – იგონებს კოლუაშვილი, – მაგრამ თვე თვეს ცვლიდა, საშველი კი არსაიდან ჩანდა. ვარჯიშის ელემენტარული პირობებიც კი არ გვქონდა, უსახსრობამ ხომ სულ დამტანჯა. ბოლოს, ჭიდაობის მიტოვებაც კი გადავწყვიტე.

გოგი კოლუაშვილი ვაჟიშვილთან ერთად

ალბათ, ასეც იქნებოდა, რომ არა მიშა მამიაშვილის ძმის – ვიქტორის ზარი – მოსკოვში მეპატიჟებოდა, მშობლებმა, მეგობრებმა, მწვრთნელებმაც, ყველამ მირჩია ეს შანსი ხელიდან არ გამეშვა. თავადაც ვგრძნობდი, რომ ჩემში მოჭიდავე კვდებოდა. რომ ეს ნაბიჯი არ გადამედგა, მთლად დავიღუპებოდი. სამწუხაროდ, ბევრმა ჩემმა თანამემამულემ ვერ გამიგო და მოსკოვში გადასვლა უკუღმართად გაიგო. რაღა თქმა უნდა, რუსეთის მოქალაქეობაც მივიღე“.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, გოგის შემდგომი წარმატებები თავბრუდამხვევია – იგი ევროპის ხუთგზის ჩემპიონია, 1993-ში მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავეც გახდა. თუმცა, ატლანტაში ზაფხულის ოლიმპიადაზე არ გაუმართლა და დასანანი მარცხი იწვნია. ახლა მხოლოდ ერთი ამოცანა აღელვებს – ღირსეულად მოემზადოს სიდნეისთვის. იქ, შორეულ ავსტრალიაში ჩვენი თანამემამულე მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს: „ჩემს შვილს, ოთხი წლის დათოს ოქროს მედლის ჩამოტანას შევპირდი და ამას, რადაც უნდა დამიჯდეს, აუცილებლად შევასრულებ“.

რა იქნება მერე? ოლიმპიადის შემდეგ მწვრთნელად იმუშავებს. „საქართველოში? რატომაც არა, თუ... დამიძახეს!“

არკადი სმირნოვი,
„ლელოს“ საკ. კორ. მოსკოვი

P.S. გახსოვთ გიორგი კოლუაშვილი? ორაზროვნად ვკითხეთ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურ მდივანს ომზარ შოშიტაშვილს.

— როგორ, რას ჰქვია გვახსოვს, — გაიოცა ომზარმა. როცა ვუთხარით, რომ გიორგი სინანულს გამოთქვამს, რომ თავის სამშობლოში თითქოსდა დაივიწყეს, ომზარმა ჩვეული სილაღით აღიარა, რომ ალბათ მართლაც აქვს წყენის საფუძველი. „ჩვენ ვართ დამნაშავე, რომ კაცი ხუთჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, მრავალი ტურნირი მოიგო და ქართულ მასმედიას ვერ ვაცნობეთ. ქართველი ყველგან ქართველია, ასეთი სახელოვანი სპორტსმენი, რომელიც ქუთაისში და თბილისში დაოსტატდა, მართალია, ყველას უნდა ახსოვდეს და ამაყობდეს კიდეც“. ვინ არის ვიქტორ მამიაშვილი, ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მიხეილ მამიაშვილის ძმაა, რა კავშირი აქვს ჭიდაობასთან? ვეკითხებით ომზარს. გვიპასუხა, რომ ვიქტორი დიდი ხანია სათავეში უდგას მოსკოვის ჭიდაობის ფედერაციას, ძმა მიხეილი, იცით, რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი. ამასთან, იგი ცსკას სპორტკლუბს ხელმძღვანელობს გენერლის ჩინით. „გიორგი კოლუაშვილი ჩინებული სპორტსმენი და პიროვნებაა, იგი რუსეთის მოჭიდავეთა ნაკრების ყველაზე გამოცდილი ლიდერი იქნება სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში. ჩვენც სულითა და გულით ვუსურვებთ გიორგის ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას ოლიმპიურ ხალიჩაზე“ — დასძინა დასასრულ ჩვენმა თანამოსაუბრემ.

სამცხე-ჯავახეთში

ტრადიციის დაბრუნება

ყოველი ახალი ცნობა, რომელსაც მესხეთ-ჯავახეთიდან, საქართველოს ამ ძირძველი მხარიდან ვიღებთ, ყოველთვის განსაკუთრებულ სიხარულს იწვევს ჩვენში და ალბათ მკითხველშიც. თუ რატომ, ვფიქრობთ, ახსნა არ ესაჭიროება.

ამას წინათ, ჩვენმა გაზეთმა, ერთ მესხეთელ ახალგაზრდა ენთუზიასტზე ზაზა ჩილინგარაშვილზე გვიამბო, რომელიც სოფელ არალში და ახალციხეში, მომავალ ფალავნებს უზრდის ქვეყანას. ზაზამ ამ დღეებში რედაქციაში შემოიარა და, რაღა თქმა უნდა, ზოგი რამ გამოვკითხეთ: „ძირძველი მესხი ვარ, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სოფელ არალს დავუბრუნდი, ადრე ვჭიდაობდი — გია ფეიქრიშვილის, მარლენ ოსეყმაშვილის და თენგიზ ლამბაშიძის მოსწავლე ვიყავი. ახლა ჩემი გამოცდილების სოფლელი ყმაწვილებისთვის გაზიარება გადავწყვიტე. სოფლის 20 ყმაწვილს ვასწავლი ჭიდაობას, 40-ს კი ახალციხეში ვამეცადინებ“, — გვითხრა ზაზამ.

აღმზრდელის შეგირდები უკვე წარმატებით გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებაში. 7-მა ნორჩმა მოჭიდავემ ლევან თედიაშვილის პრიზზე, თბილისში, საპრიზო ადგილი მოიპოვა. სამხრეთ-ჯავახეთის პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში მისი აღსაზრდელები დომინირებდნენ.

მესხეთმა დაიბრუნა ოდინდელი ტრადიციები. სისტემატურად იმართებოდა ფალავნობა. ყოფილა შემთხვევები, როცა იმ სოფელს ან ქალაქს, საიდანაც ისეთი რჩეული ფალავანი თურქები ათავისუფლებდნენ გადასახადებისგან. ცნობილი დათა ხიზამბარელი სოფელ ხიზაბავრიდან იყო. მისი შთამომავლობა თურმე, როგორც საგვარეულო საიდუმლოს ინახავდა წინაპართა მიერ შექმნილ საჭიდაო ილეთებს.

ზაზამ ერთი ახალი ამბავიც გვიამბო: „ერთი თათარი ჩასულა მესხეთში საჭიდაოდ, მარილის ქვებს იდებდა თურმე კუნთებზე და ათამაშებდა. შეუწუხებია დიდკაცობა — ან ვინმეს დამაჭიდეთ, ან საჩუქარი მომეცით და გამისტუმრეთ ჩემს ქვეყანაშიო. თავადებმა თურმე ხიზამბრელს უხმეს. დაჭიდების წინ თათარს დამტვრეული ქართულით მიუმართავს დათასთვის: „ილოძე გურჯო!“ გულმოსულ ხიზამბრელს ეს გათამამებული თათარი ელვისებურად მოუგდია ზურგზე და რუმბივით გაუგორებია. დათას მაინც გამოუჩენია სულგრძელობა და საჩუქარი სტუმრისთვის შუაზე გაუყვია“.

ბოლო 25 წელიწადია სამცხე-ჯავახეთის პირველობა ჭიდაობაში არ ჩატარებულა. მანამდე მესხეთის პირველობა ტარდებოდა, ისიც იშვიათად. თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პირველობა ამჟამად ჩატარებულა 1990-93 და 1983-86 წლებში დაბადებულთათვის. ზაზა ჩილინგარაშვილს უბის წიგნაკში ჰქონდა მონიშნული ყველა გამარჯვებული და პრიზიორი. აი ისინიც:

1990-93 წლებში დაბადებულნი. 23 კგ: 1. ლერი კაჭკაჭაშვილი (სოფ. არალი), 2. ვალიკო კაკაჩიშვილი (ახალციხე), 3. ხვიჩა საგინაძე; ***26 კგ:*** 1. გოგა აფრიამაშვილი, 2. დავით თათეშვილი (ორივე — არალი), 3. ჯაბა აბულაძე (ს. ივერია); ***29 კგ:*** 1. კახა კუსიანი, 2. ლერი აფრიამაშვილი (ორივე — არალი), 3. თემურ ფეიქრიშვილი (ახალციხე); ***32 კგ:*** 1. მამუკა ბათმანაშვილი, 2. თორნიკე თათეშვილი (ორივე — არალი), 3. დავით ჯვარიძე (ს. ჭობარეთი); ***1983-86 წლებში დაბადებულნი: 35 კგ:*** 1. რევაზ ლაშხი (ბორჯომი), 2. დავით ლომიძე (ახალციხე). 3. დავით ჯვარიძე (ს. ჭობარეთი); ***38 კგ:*** 1. ივანე მუმლაძე (ბორჯომი), 2. ონისე შანთაძე (ს. ივერია), 3. ირაკლი აფრიამაშვილი (ს. არალი); ***42 კგ:*** 1. იაშა მიქელაძე (ახალციხე), 2. გიორგი თათეშვილი (ს. არალი), 3. ბესო მანველიშვილი (ვალე); ***46 კგ:*** 1. მერაბ ბალდოშვილი (ახალციხე), 2. ნოდარ გეგეშიძე (ბორჯომი), 3. ლერი ჩილინგარაშვილი (არალი); ***50 კგ:*** 1. მამუკა მელიქიძე (ჭობარეთი), 2. ვახტანგ თათეშვილი (არალი), 3. ბექა ზედგენიძე (ახალციხე); ***54 კგ:*** გიორგი ბიჩინაშვილი (არალი), 2. გიორგი ბალდოშვილი (ახალციხე), 3. არჩილ ინასარიძე (ჭობარეთი); ***58 კგ:*** 1. რატი თათეშვილი (არალი), 2. ტარიელ ჩადუნელი (ბორჯომი), 3. ზაზა კაჭკაჭიშვილი (არალი); ***63 კგ:*** 1. ლაშა ბაბლუანი (ახალციხე), 2. გიორგი ლამბარაშვილი (ბორჯომი), 3. აკაკი ზედგენიძე (ს. ჭობარეთი); ***69 კგ:*** 1. თემურ ჯვარიძე (ს. ჭობარეთი), 2. უჩა გოგილაძე, 3. გოჩა იველაშვილი (ორივე — სოფ. წნისი); ***76 კგ:*** 1. დავით ტატალაშვილი (ს. არალი), 2. ალიკ კუხიანიძე (ახალციხე), 3. დათო გოგოლაძე (ს. წნისი); ***85 კგ:*** 1. თამაზ შავიძე (ახალციხე), 2. ზაქრო ჯვარიძე (ს. ჭობარეთი), 3. გიორგი შარიქაძე (ბორჯომი); ***მძიმე:*** 1. ვახტანგ გოგოლაძე (ბორჯომი); აბსოლუტური პირველობა მოიგო არალელმა ზურაბ ფეიქრიშვილმა, რომელსაც ჯილდოდ გადაეცა ფერადი ტელევიზორი, კარგი ტექნიკური ჭიდაობისთვის მაგნიტოფონები გადაეცათ არალელ ლერი კაჭკაჭიშვილს და ბორჯომელ ტარიელ ჩადუნელს. ცალკეულ წონებში გამარჯვებულები და პრიზიორებიც დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

შეჯიბრება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ (თავმჯდომარე ოთარ ცქიტიშვილი) და მისმა სამცხე-ჯავახეთის ორგანიზაციამ (თავმჯდომარე კობა კაკაჩიშვილი) ჩაატარეს და პრიზებიც მათ შეიძინეს.

ც. ბაძრაძე

IV-დან — II-ზე, გაისად?

სპორტის ცალკეულ სახეობებში ვეტერანთა მსოფლიო პირველობების ჩატარება კარგ ტრადიციად დამკვიდრდა. ბერძნულ-რომაული ჭიდაობაც არ არის გამონაკლისი — წლეულს, ივლისის ბოლო დეკადაში, ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში ვეტერანთა II მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა. უწინდელისა არ იყოს, საქართველო ამ შეჯიბრებაში კვლავ ერთი სპორტსმენით — ომარ მელაშვილით იყო წარმოდგენილი.

● ***ბატონო ომარ, შარშანწინაც მარტო, ახლაც ეულად?***

— ხვდებით, ალბათ, ყველაფერში დამნაშავე უსახსრობაა. საქართველოს იმდენი სახელოვანი ვეტერანი მოჭიდავე ჰყავს, ვერ მოთვლი, მაგრამ უფულობის გამო არ იღებენ მონაწილეობას შეჯიბრებებში.

● ***თქვენი ბულგარეთში გამგზავრება ვინ დააფინანსა?***

— მინდა მადლობა გადავუხადო პარლამენტარებს ზაზა სიორიძეს, თამაზ გიორგაძეს, გლდანის რაიონის გამგებელს სოსო ვაშაკიძეს, ვეტერან მოჭიდავეებს რომან რურუას, ვასილ და დათო ქარსელაძეებს (გაისად ჩემთან ერთად ის ძმებიც გამოვლენ მომავალ ასპარეზობაში). რომ არა მათი ფინანსური მხარდაჭერა, მეც „თამაშგარე მდგომარეობაში“ დავრჩებოდი.

იხ. მე-7 გვ.

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

საქართველოს 2000-2001 წლების XII ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი

პროექტი

I ეტაპი

I წრე

I ტური
19 აგვისტო, შაბათი
1. დილა გორი - ვიტ-ჯორჯია თბილისი
2. მერანი 91 თბილისი - კოლხეთი 1913 ფოთი
3. იბერია სამტრედია - ლოკომოტივი თბილისი
4. გორდა რუსთავი - დინამო ბათუმი
5. თსუ-არმაზი თბილისი - დინამო თბილისი
6. ტორპედო ქუთაისი - სიონი ბოლნისი

II ტური
27 აგვისტო, კვირა
1. დინამო თბ - ტორპედო
2. კოლხეთი 1913 - იბერია
3. დინამო ბთ. - თსუ-არმაზი
4. დილა - მერანი 91

28 აგვისტო, ორშაბათი
5. ვიტ-ჯორჯია - სიონი
6. ლოკომოტივი - გორდა

III ტური
6 სექტემბერი, ოთხშაბათი
1. გორდა - კოლხეთი 1913
2. მერანი 91 - ვიტ-ჯორჯია
3. იბერია - დილა
4. თსუ-არმაზი - ლოკომოტივი
5. ტორპედო - დინამო ბთ
6. სიონი - დინამო თბ

IV ტური
10 სექტემბერი, კვირა
1. ვიტ-ჯორჯია - დინამო თბ
2. ლოკომოტივი - ტორპედო
3. დინამო ბთ - სიონი
4. კოლხეთი 1913 - თსუ-არმაზი
5. დილა - გორდა
6. მერანი 91 - იბერია

V ტური
17 სექტემბერი, კვირა
1. გორდა - მერანი 91
2. თსუ-არმაზი - დილა
3. ტორპედო - კოლხეთი 1913
4. დინამო თბ - დინამო ბთ

18 სექტემბერი, ორშაბათი
5. სიონი - ლოკომოტივი
6. იბერია - ვიტ-ჯორჯია

VI ტური
23 სექტემბერი, შაბათი
1. ლოკომოტივი - დინამო თბ
2. ვიტ-ჯორჯია - დინამო ბთ
3. კოლხეთი 1913 - სიონი
4. დილა - ტორპედო
5. იბერია - გორდა
6. მერანი 91 - თსუ-არმაზი

VII ტური
1 ოქტომბერი, კვირა
1. თსუ-არმაზი - იბერია
2. სიონი - დილა
3. დინამო თბ - კოლხეთი 1913
4. ტორპედო - მერანი 91

2 ოქტომბერი, ორშაბათი
5. გორდა - ვიტ-ჯორჯია
6. დინამო ბთ - ლოკომოტივი

VIII ტური
14 ოქტომბერი, შაბათი
1. კოლხეთი 1913 - დინამო ბთ
2. ვიტ-ჯორჯია - ლოკომოტივი
3. დილა - დინამო თბ
4. მერანი 91 - სიონი
5. იბერია - ტორპედო
6. გორდა - თსუ-არმაზი

IX ტური
21 ოქტომბერი, შაბათი
1. თსუ-არმაზი - ვიტ-ჯორჯია
2. ტორპედო - გორდა
3. სიონი - იბერია
4. დინამო თბ - მერანი 91
5. დინამო ბთ - დილა

22 ოქტომბერი, კვირა
6. ლოკომოტივი - კოლხეთი 1913

X ტური
25 ოქტომბერი, ოთხშაბათი
1. გორდა - სიონი
2. მერანი 91 - დინამო ბთ
3. იბერია - დინამო თბ
4. თსუ-არმაზი - ტორპედო

26 ოქტომბერი, ხუთშაბათი
5. ვიტ-ჯორჯია - კოლხეთი 1913
6. დილა - ლოკომოტივი

XI ტური
29 ოქტომბერი, კვირა
1. დინამო თბ - გორდა
2. სიონი - თსუ-არმაზი
3. დინამო ბთ - იბერია

30 ოქტომბერი, ორშაბათი
4. ტორპედო - ვიტ-ჯორჯია
5. ლოკომოტივი - მერანი 91
6. კოლხეთი 1913 - დილა

II წრე

XII ტური
3 ნოემბერი, პარასკევი
1. დინამო თბ - თსუ-არმაზი

4 ნოემბერი, შაბათი
2. ვიტ-ჯორჯია - დილა
3. კოლხეთი 1913 - მერანი 91
4. დინამო ბთ - გორდა
5. სიონი - ტორპედო
6. ლოკომოტივი - იბერია

XIII ტური
11 ნოემბერი, შაბათი
1. ტორპედო - დინამო თბ
2. იბერია - კოლხეთი 1913
3. თსუ-არმაზი - დინამო ბთ
4. მერანი 91 - დილა
5. სიონი - ვიტ-ჯორჯია
6. გორდა - ლოკომოტივი

XIV ტური
17 ნოემბერი, პარასკევი
1. კოლხეთი 1913 - გორდა
2. ვიტ-ჯორჯია - მერანი 91
3. დილა - იბერია
4. დინამო თბ - სიონი
5. დინამო ბთ - ტორპედო

18 ნოემბერი, შაბათი
6. ლოკომოტივი - თსუ-არმაზი

XV ტური
25 ნოემბერი, შაბათი
1. სიონი - დინამო ბთ
2. გორდა - დილა
3. იბერია - მერანი 91
4. დინამო თბ - ვიტ-ჯორჯია
5. ტორპედო - ლოკომოტივი
6. თსუ-არმაზი - კოლხეთი 1913

XVI ტური
29 ნოემბერი, ოთხშაბათი
1. ვიტ-ჯორჯია - იბერია
2. მერანი 91 - გორდა
3. დინამო ბთ - დინამო თბ
4. დილა - თსუ-არმაზი
5. კოლხეთი 1913 - ტორპედო
6. ლოკომოტივი - სიონი

XVII ტური
3 დეკემბერი, კვირა
1. დინამო თბ - ლოკომოტივი
2. დინამო ბთ - ვიტ-ჯორჯია
3. სიონი - კოლხეთი 1913
4. ტორპედო - დილა
5. გორდა - იბერია
6. თსუ-არმაზი - მერანი 91

XVIII ტური
28 თებერვალი, ოთხშაბათი
1. იბერია - თსუ-არმაზი
2. დილა - სიონი
3. კოლხეთი 1913 - დინამო თბ
4. მერანი 91 - ტორპედო
5. ვიტ-ჯორჯია - გორდა
6. ლოკომოტივი - დინამო ბთ

XIX ტური
4 მარტი, კვირა
1. დინამო თბ - დილა
2. დინამო ბთ - კოლხეთი 1913
3. სიონი - მერანი 91
4. ტორპედო - იბერია
5. თსუ-არმაზი - გორდა

5 მარტი, ორშაბათი
6. ლოკომოტივი - ვიტ-ჯორჯია

XX ტური
10 მარტი, შაბათი
1. ვიტ-ჯორჯია - თსუ-არმაზი
2. იბერია - სიონი
3. გორდა - ტორპედო
4. მერანი 91 - დინამო თბ
5. დილა - დინამო ბთ
6. კოლხეთი 1913 - ლოკომოტივი

XXI ტური
18 მარტი, კვირა
1. სიონი - გორდა
2. დინამო ბთ - მერანი 91
3. დინამო თბ - იბერია
4. ტორპედო - თსუ-არმაზი
5. კოლხეთი 1913 - ვიტ-ჯორჯია
6. ლოკომოტივი - დილა

XXII ტური
22 მარტი, ხუთშაბათი
1. გორდა - დინამო თბ
2. ვიტ-ჯორჯია - ტორპედო
3. თსუ-არმაზი - სიონი
4. იბერია - დინამო ბთ
5. მერანი 91 - ლოკომოტივი
6. დილა - კოლხეთი 1913

თასების დღეებია 27 სექტემბერი, 17 ოქტომბერი, 7, 21 ნოემბერი, 6, 10 დეკემბერი, 20-24 თებერვალი, 14 მარტი.

კალენდარში გათვალისწინებულია საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრების დღეები.

საქართველოს 2000-2001 წლების XII ჩემპიონატის პირველი ლიგის კალენდარი

პროექტი

I ეტაპი

I წრე

I ტური
26 აგვისტო, შაბათი
1. თბილისი თბილისი - თორი ბორჯომი
2. სამგურალი წყალტუბო - მეტალურგი ზესტაფონი.
3. შუქურა ქობულეთი - ლოკომოტივი-2 - გურია ლანჩხუთი.
4. დინამო ზუგდიდი - ასკ თბილისი.
5. ოკეანე სამტრედია - მილანი წნორი.
6. კოლხეთი ხობი - ცხინვალი ცხინვალი.

II ტური
3 სექტემბერი, კვირა
1. თორი - ცხინვალი.
2. მილანი - კოლხეთი.
3. ასკ - ოკეანე.
4. ლოკომოტივი-2 - გურია - დინამო.
5. მეტალურგი - შუქურა.
6. თბილისი - სამგურალი.

III ტური
9 სექტემბერი, შაბათი
1. სამგურალი - თორი.
2. შუქურა - თბილისი.
3. დინამო - მეტალურგი.
4. ოკეანე - ლოკომოტივი-2 - გურია.
5. კოლხეთი - ასკ.
6. ცხინვალი - მილანი.

IV ტური
16 სექტემბერი, შაბათი
1. თორი - მილანი
2. ასკ - ცხინვალი
3. ლოკომოტივი-2 - გურია - კოლხეთი
4. მეტალურგი - ოკეანე
5. თბილისი - დინამო
6. სამგურალი - შუქურა

V ტური
20 სექტემბერი, ოთხშაბათი
1. შუქურა - თორი
2. დინამო - სამგურალი
3. ოკეანე - თბილისი
4. კოლხეთი - მეტალურგი
5. ცხინვალი - ლოკომოტივი-2 - გურია
6. მილანი - ასკ

VI ტური
24 სექტემბერი, კვირა
1. თორი - ასკ
2. ლოკომოტივი-2 - გურია - მილანი
3. მეტალურგი - ცხინვალი
4. თბილისი - კოლხეთი
5. სამგურალი - ოკეანე
6. შუქურა - დინამო

VII ტური
30 სექტემბერი, შაბათი
1. დინამო - თორი
2. ოკეანე - შუქურა
3. კოლხეთი - სამგურალი
4. ცხინვალი - თბილისი
5. მილანი - მეტალურგი
6. ასკ - ლოკომოტივი-2 - გურია

VIII ტური
4 ოქტომბერი, ოთხშაბათი
1. თორი - ლოკომოტივი-2 - გურია
2. მეტალურგი - ასკ
3. თბილისი - მილანი
4. სამგურალი - ცხინვალი
5. შუქურა - კოლხეთი
6. დინამო - ოკეანე

IX ტური
8 ოქტომბერი, კვირა
1. ოკეანე - თორი
2. კოლხეთი - დინამო
3. ცხინვალი - შუქურა
4. მილანი - სამგურალი
5. ასკ - თბილისი
6. ლოკომოტივი-2 - გურია - მეტალურგი

X ტური
13 ოქტომბერი, პარასკევი
1. თორი - მეტალურგი
2. თბილისი - ლოკომტივი-2 - გურია
3. სამგურალი - ასკ
4. შუქურა - მილანი
5. დინამო- ცხინვალი
6. ოკეანე - კოლხეთი

XI ტური
20 ოქტომბერი, პარასკევი
1. კოლხეთი - თორი
2. ცხინვალი - ოკეანე
3. მილანი - დინამო
4. ასკ - შუქურა
5. ლოკომოტივი-2 - გურია - სამგურალი
6. მეტალურგი - თბილისი

II წრე

XII ტური
27 ოქტომბერი, პარასკევი
1. თორი - თბილისი
2. მეტალურგი - სამგურალი
3. ლოკომოტივი-2 - გურია - შუქურა
4. ასკ - დინამო
5. მილანი - ოკეანე
6. ცხინვალი - კოლხეთი

XIII ტური
3 ნოემბერი, პარასკევი
1. ცხინვალი - თორი
2. კოლხეთი - მილანი
3. ოკეანე - ასკ
4. დინამო - ლოკომოტივი-2 - გურია
5. შუქურა - მეტალურგი
6. სამგურალი - თბილისი

XIV ტური
10 ნოემბერი, პარასკევი
1. თორი - სამგურალი
2. თბილისი - შუქურა
3. მეტალურგი - დინამო
4. ლოკომოტივი-2 - გურია - ოკეანე
5. ასკ - კოლხეთი
6. მილანი - ცხინვალი

XV ტური
18 ნოემბერი, შაბათი
1. მილანი - თორი
2. ცხინვალი - ასკ
3. კოლხეთი - ლოკომოტივი-2 - გურია
4. ოკეანე - მეტალურგი
5. დინამო - თბილისი
6. შუქურა - სამგურალი

XVI ტური
24 ნოემბერი, პარასკევი
1. თორი - შუქურა
2. სამგურალი - დინამო
3. თბილისი - ოკეანე
4. მეტალურგი - კოლხეთი
5. ლოკომოტივი-2 - გურია - ცხინვალი
6. ასკ - მილანი

XVII ტური
28 ნოემბერი, სამშაბათი
1. ასკ - თორი
2. მილანი - ლოკომოტივი-2 - გურია
3. ცხინვალი - მეტალურგი
4. კოლხეთი - თბილისი
5. ოკეანე - სამგურალი
6. დინამო - შუქურა

XVIII ტური
3 მარტი, შაბათი
1. თორი - დინამო
2. შუქურა - ოკეანე
3. სამგურალი - კოლხეთი
4. თბილისი - ცხინვალი
5. მეტალურგი - მილანი
6. ლოკომოტივი-2 - გურია - ასკ

XIX ტური
9 მარტი, პარასკევი
1. ლოკომოტივი-2 - გურია - თორი
2. ასკ - მეტალურგი
3. მილანი - თბილისი
4. ცხინვალი - სამგურალი
5. კოლხეთი - შუქურა
6. ოკეანე - დინამო

XX ტური
17 მარტი, შაბათი
1. თორი - ოკეანე
2. დინამო - კოლხეთი
3. შუქურა - ცხინვალი
4. სამგურალი - მილანი
5. თბილისი - ასკ
6. მეტალურგი - ლოკომოტივი-2 - გურია

XXI ტური
21 მარტი, ოთხშაბათი
1. მეტალურგი - თორი
2. ლოკომოტივი-2 - გურია - თბილისი
3. ასკ - სამგურალი
4. მილანი - შუქურა
5. ცხინვალი - დინამო
6. კოლხეთი - ოკეანე

XXII ტური
25 მარტი, კვირა
1. თორი - კოლხეთი
2. ოკეანე - ცხინვალი
3. დინამო - მილანი
4. შუქურა - ასკ
5. სამგურალი - ლოკომოტივი-2 - გურია
6. თბილისი - მეტალურგი

თასების დღეებია 27 სექტემბერი, 17 ოქტომბერი, 7,21 ნოემბერი, 6,10 დეკემბერი, 20,24 თებერვალი, 14 მარტი.

კონგრესის დღეებში გადაწყდება' ვიხილავთ თუ არა გასვლით მატჩებს

ციურიხში 3-6 აგვისტოს ფიფას მორიგი კონგრესი გაიმართება, განსახილველი საკითხები საკმაოდ მრავალფეროვანია. ფიფა თავისი აღმასკომის ევროპელ წევრებს დაამტკიცებს, განიხილავენ ფიფას წესდებაში შესულ ცვლილებებს, ერთ-ერთი უმთავრესი ბლატერის იდეის განხილვაა, რაც მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა კონტინენტზე რიგრიგობით ჩატარებას ითვალისწინებს. ამის თაობაზე ფიფას წევრ ფედერაციებს ფაქსი დაუგზავნა თხოვნით, თავიანთი წინადადებები წამოაყენონ კონგრესზე. კონგრესი ოფიციალურად 4 აგვისტოს გაიხსნება, მანამდე უეფას წევრი ქვეყნებისთვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თათბირს მოიწვევს ევროპულ საფეხბურთო სამყაროს ერთიანი აზრის შესამუშავებლად. საქართველოდან კონგრესში მონაწილეობას მიიღებენ სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე და გენერალური მდივანი – ვალერი ჩოლარია. ფედერაციებს ერთი ხმის უფლება ექნებათ. კონგრესზე დამტკიცდება შარშანდელი ფინანსური ხარჯები. სტუმრები მოინახულებენ ფიფას ახალ შენობას და გაეცნობიან ფეხბურთის ისტორიის ექსპონატებს. ჩვენი დელეგაცია, გარდა კონგრესში მონაწილეობისა, ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს კოლეგებთან.

გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ თქვა:„ – ორი დღის განმავლობაში ძალიან დატვირთული სამუშაო გრაფიკი გვექნება. შევხვდებით ლიტვის დელეგაციას და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების დეტალებს დავაზუსტებთ, კერძოდ, დადგინდება ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ლიტვაში გამგზავრებისა და მიღების ნიუანსები. შევხვდებით იტალიელებს და ალბათ საბოლოოდ დავადგენთ თუ სად, იტალიის რომელ ქალაქში ითამაშებს ეროვნული გუნდი. აუცილებლად განვიხილავთ „დინამო“– „მრეტების“ საკითხს, შევხვდებით ტელესპორტის წარმომადგენლებს, მათ ჩვენი ნაკრების მატჩების ტრანსლირების უფლება აქვთ და მოველაპარაკებით შესარჩევი ციკლის ოთხივე გასვლითი მატჩის საქართველოს ტელევიზიის I არხით ჩვენების თაობაზე“.

სულაქველიძის შეგირდები ლიტვაში

თენგიზ სულაქველიძის საქართველოს 16 წლამდე ყმაწვილთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისათვის მზადებას აგრძელებს და ამ მიზნით 15-21 აგვისტოს ლიტვაში გაემგზავრება და მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ტურნირში. ქართველების გარდა, ითამაშებენ მოლდავეთის, რუსეთის, ლატვიის, ესტონეთისა და მასპინძელთა პირველი და მეორე ნაკრები გუნდები. თენგიზ სულაქველიძის განკარგულებაში ამჟამად 32 ფეხბურთელია, სწორედ მათგან შეირჩევა ის 18, რომელიც ტურნირში საქართველოს ღირსებას დაიცავს. საქართველოს ნაკრებს მჭიდრო კალენდარი აქვს და 6 დღეში 6 მატჩს გამართავს.

16 აგვისტო. საქართველო — მოლდოვა
17 აგვისტო. საქართველო — რუსეთი
18 აგვისტო. საქართველო — ლიტვა II
19 აგვისტო. საქართველო — ლიტვა I
20 აგვისტო. საქართველო — ლატვია
21 აგვისტო. საქართველო — ესტონეთი

ერუდიტებო, შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

1. რომელ წელს ითამაშა სსრ კავშირის ნაკრებმა პირველად თბილისში და ვისთან?
ა) 1966 წელს გერმანიასთან
ბ) 1967 წელს საბერძნეთთან
გ) 1968 წელს რუმინეთთან

2. რომელმა ფეხბურთელმა გაიტანა სსრ კავშირის ჩემპიონატში პირველი ჰეთ-თრიკი?
ა) ილინმა
ბ) პონედელნიკმა
გ) სემიჩასტნიმ

3. რომელი უცხოური საფეხბურთო კლუბი გახდა უცხო ქვეყნის ჩემპიონი?
ა) ვენის „რაპიდი“ — გერმანიის 1941 წლის ჩემპიონი
ბ) „ბაიერნი“ — იტალიის 1942 წლის ჩემპიონი
გ) „სპარტა“ (ჩეხ.) — ბულგარეთის 1952 წლის ჩემპიონი

4. რომელ კლუბში დაასრულა საფეხბურთო კარიერა ალფრედო დისტეფანომ?
ა) საფრანგეთის „ნანტში“
ბ) ურუგვაის „პენიაროლიში“.
გ) ესპანეთის ესპანიოლაში“.

5. რომელ კლუბში დაიწყო თამაში პირველად რაიმონ კოპამ?
ა) ბულგარეთის „ლევსკში“
ბ) ფრანგულ „ანჟერში“
გ) გერმანიის „შტუტგარტში“

წინა ნომერში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები: 1 – ბ, 2 – გ, 3 – ბ, 4 – ა, 5 – ბ.

რას მოგვიტანს 3 აგვისტო?

ღმერთმა არ ჰქნას, შეიძლება ისე მოხდეს, მსოფლიოს საფეხბურთო ორგანიზაციის მამებმა, ქართულ საფეხბურთო მექანიზმს ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ნაწილი – თბილისის „დინამო“ მოკვეთონ. „ოპერაციის“ თარიღი 3 აგვისტოა, ქირურგი კი ფიფას აღმასრულებელი კომიტეტია. ავადმყოფის დიაგნოზიც კარგა ხანია დასმულია – კრედიტუუნარობა.

ეს დღე, ალბათ, რუმინელებსაც ცუდად გაახსენდებათ, საქმე იმაშია, რომ დასასრულს მიუახლოვდა გამოძიება საქმისა, რომელიც რუმინული კლუბის – „ჩახლაულის“ წინააღმდეგაა მიმართული. ინტერტოტოს თასზე „ჩახლაულისა“ და ვენის „აუსტრიას“ შორის რუმინული კლუბის ხელმძღვანელობას მსაჯთა ბრიგადისათვის, ქრთამის სახით, მეძავეების მომსახურება შეუთავაზებია.

ყველაფერი კი რესტორანში მომხდარა, სადაც მსაჯები სადილობდნენ. მასპინძლებს სტუმრები განგებ დაუტოვებიათ მარტო და მაგიდას ოთხი მომხიბვლელი გოგონა მიუსხდა. მთავარი მსაჯი სტეფან მულენი ცდუნებას გამოქცევია და მომხდარის შესახებ უეფას დელეგატს ჩაუკარკლა ყველაფერი. ორი მატჩის ჯამში რუმინული კლუბი მაინც დამარცხებულია და მიუხედავად ამისა, დისკვალიფიკაციაც ელის.

საკუთარი ინფორმაცია

უეფამ 611 მილიონი დაარიგა!

ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გათამაშების შედეგების მიხედვით, უეფამ 611 მილიონი შვეიცარიული ფრანკი გადაურიცხა კლუბებს. ყველაზე დიდი თანხა მიიღო მიუნხენის „ბაიერნმა“ — 45 მილიონ 527 ათასი ფრანკი. შემდეგ მოდიან: მადრიდის „რეალი“ — 44.890.000, „ბარსელონა“ — 37.809.000, „ვალენსია“ — 37.762.000, „ლაციო“ — 36.156.000, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 35.410.000. „ბორდო“ — 34.537.000, „ოლიმპიკი“ — 31.974.000, „ჩელსი“ — 29.029.000, „ფიორენტინა“ — 25.467.000 და ა.შ. გარდა ამისა, უეფამ ყველა, 51-ვე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაც წაახალისა. სულ ეს თანხა 37 მილიონ 720 ათას შვეიცარიული ფრანკია. აქედან სფფ 850 ათასს მიიღებს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

„უდიდესი გადასახადის გადამხდელი და ფილანტროპი ერთი პიროვნებაა

„გადასახადის უდიდეს გადამხდელსა და ფილანტროპს“ — უწოდებს სომხური პრესა მრეწველ მიხაილ ბაღდასაროვს, რომელიც არაფერს იშურებს ფეხბურთისათვის. იგი აშტარაკის „მიკას“ სპონსორია, რომელსაც ედუარდ მარქაროვი წვრთნის (სომხეთის უმაღლეს ლიგაში სულ 8 კლუბი გამოდის, ისინი 4 წრედ თამაშობენ). გარდა ამისა, ბაღდასაროვი ერევნის „არმენიკუმის“ სპონსორიცაა, რომელიც სომხეთის პირველი ლიგის ლიდერია.

ახლა მიხაილ ბაღდასაროვს სპონსორი დახმარებისათვის კიდევ ორმა ორგანიზაციამ მიმართა: სპორტის ვეტერანთა ფედერაციამ და სომხეთის ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა ფეხბურთში.

მილოშევიჩი „პარმაში“ ითამაშებს

სავო მილოშევიჩი, რომელიც პატრიკ კლუივერტთან ერთად ევროპის პირველობის საუკეთესო სნაიპერი იყო, მომავალ სეზონში „პარმის“ ღირსებას დაიცავს.

„პარმამ“ და „სარაგოსამ“ უკვე მოაწერეს ხელი წინასწარ შეთანხმებას. მილოშევიჩის ნაცვლად ესპანური კლუბი 25 მილიონ დოლარს მიიღებს. საინტერესოა, რომ იუგოსლაველ ცენტრალურ თავდამსხმელს „რეალი“ და „ბარსელონაც“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ნაკლებ თანხას სთავაზობდნენ.

რონალდო „ფლამენგოში“? – არავითარ შემთხვევაში!

რონალდომ გამოთქვა სურვილი, სანამ სრულიად არ გამოჯანმრთელდება და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სრულ რწმენას არ აღიდგენს, „ინტერმა“ იგი იჯარით „ფლამენგოს“ დაუთმოს. აქ, შინაურ პირობებში, რონალდოს საშუალება მიეცემა უკეთ მოემზადოს მსოფლიოს მომავალი პირველობისათვის.

როგორც „ინტერის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, მას ასეთი იჯარის გაგონებაც კი არ სურს.

რებროვმა მიმართა „ტოტენჰემს“

კიევის „დინამოს“ ყოფილმა თავდამსხმელმა სერგეი რებროვმა, რომელიც ახლა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ შემადგენლობაში ინგლისის ჩემპიონატისათვის ემზადება, **თხოვნით მიმართა თავის ახალ კლუბს როგორმე შეინარჩუნოს ფრანგი დავიდ ჟინოლა, რომლის გვარი „ტრანსფერ-ლისტზე“ გამოქვეყნდა.**

ანატოლი ბაიდაჩნი: კოვალენკო საძაგელი ვინმეა

ცნობილმა მწვრთნელმა ანატოლი ბაიდაჩნიმ, რომლის ხელმძღვანელობით ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი“ რუსეთის ჩემპიონატში საუკეთესოდ თამაშობს (მეოთხე ადგილზეა) თავის კლუბიდან წელს მეორედ და საბოლოოდ გარიცხა ბომბარდირი კონსტანტინ კოვალენკო (9 გოლი, 12 მატჩი). როგორც ჩანს, ეს საქმე მარტო გარიცხვით არ დამთავრდება.

— კოვალენკო, უბრალოდ რომ ვთქვათ, საძაგელი ვინმეა, მას ცხოვრებაში არაფერი წმინდა არა აქვს, ვისაც გნებავთ, უღალატებს. მხოლოდ და მხოლოდ ფული აინტერესებს. წელიწადში ერთხელ ელიმება, როცა ახალ კლუბში მიდის და გადასვლის თანხას იღებს. შემდეგ ისევ პირქუში ხდება და მხოლოდ იმაზე ფიქრობს ახალ კლუბში გადავიდეს და ახლა იმას დასტყუოს ფული. მე ხომ ამ ახალგაზრდას ჩემი სულის ნაწილი შევწირე, ისე ვექცეოდი, როგორც საკუთარ შვილს, ბევრჯერ ვაპატიე. გახსოვთ, მაისშიც გავრიცხე. მოვიდნენ ჩვენი ბიჭები და მითხრეს: „ჩვენი წამყვანი მოთამაშეა, გვჭირდება, შეუნდეთ“. დავეთანხმე, მაგრამ ორი თვე გავიდა და მათაც მიაფურთხა. ახლა მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ მას პროფესიული ფეხბურთელის სტატუსი ჩამოართვან, რუსეთის არც ერთმა კლუბმა არ მიიღოს.

როგორც ბაიდაჩნი აცხადებს, ახლა მას დიდი სულიერი ამაღლობა აქვს:

— ასეთი მქონდა მაშინ, როცა სირიის ნაკრებს აზიის ჩემპიონობა მოვუპოვე, ეს ხომ იგივეა, სომხეთის ნაკრებს რომ ევროპის ჩემპიონობა მოუპოვო. როცა დამასკოში ჩავფრინდით, სამი მილიონი სირიელი დაგვხვდა. რაღაც საყოველთაო სიგიჟის მსგავსი ამბავი იყო.

რა ოლიმპიადა, რის ოლიმპიადა!

„რა ოლიმპიადა, რის ოლიმპიადა!“ — იძახიან ინგლისის პრემიერ-ლიგის წამყვანი კლუბების „არსენალისა“ და „ჩელსის“ თავკაცები არსენ ვენგერი და ჯანლუკა ვიალი. მათი მკვეთრი წინააღმდეგობის მიუხედავად, ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ სიდნეიში, ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა სიაში შეიყვანა არსენალელი ნვანკვო კანუ და „ჩელსის“ მცველი სელესტინ ბაბაიარო. თუ ისინი ნაკრების საბოლოო შემადგენლობაში მოხვდებიან, მათ პრემიერ-ლიგის გათამაშების პირველი ხუთი ტურის გამოტოვება მოუწევთ, ცხადია, ევროტურნირების მატჩებსაც გამოტოვებენ.

ამიტომ არიან გაცეცხლებულები ვენგერი და ვიალი, რომლებიც აცხადებენ, რომ სიდნეიში საასპარეზოდ თავიანთ ფეხბურთელებს არ გამოუშვებენ. რაც შეეხება პირადად კანუსა და ბაბაიაროს, მათ დიდი სურვილი აქვთ გაემგზავრონ ავსტრალიაში და მეორედ გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები.

იტყობინებიან, რომ მოდავე მხარეები დათმობაზე არ მიდიან და მალე ამ საკითხს ფიფა განიხილავს.

ქუთაისში – „ინტერი“, წნორში – „მილანი“, მცხეთაში – „იუვენტუსი“?

იცით, ალბათ, შარშანდელ სეზონში ქუთაისის „ტორპედოს“ ფარმ-კლუბიც გამოდიოდა „ინტერის“ სახელწოდებით. თხა თხაზე ნაკლებიო, იფიქრეს წნორელებმა და ადრე „ღარწყალისა“ და „ალაზნის“ სახელით ცნობილ გუნდს „მილანი“ დაარქვეს. მშვენიერია, არა? ერთი „იტალიური“ გუნდი დასავლეთ საქართველოში გვყავს, მეორე — აღმოსავლეთში, მაგრამ, როგორც ეტყობა, ლიხსაქეთელთა და ლიხსიქითელთა ჭიდილში გამარჯვების სასწორი აღმოსავლეთისაკენ გადმოიხრება. საქმე იმაშია, რომ საქართველოს ძირძველ დედაქალაქში მალე შეიქმნება გუნდი, რომელსაც როგორც უწინ „არმაზი“ კი არა „იუვენტუსი“ ერქმევა.

წელიწადზე მეტია, რაც ვლადიმერ გუცაევმა სპორტულ მასმედიას ჩანაფიქრი გაუმხილა მცხეთაში საკუთარი საფეხბურთო სკოლის დაარსების შესახებ. „რა შეიცვალა მას შემდეგ?“ — ასეთი კითხვით მიმართა „ლელოს“ კორესპონდენტმა ვლადიმერ გუცაევს.

„ამთავითვე ვიტყვი, რომ ეს პროექტი არ ჩაშლილა, რადგანაც ამ მიზნის განსახორციელებლად მცხეთის სტადიონის გვერდით ტერიტორიაც კი დავიკანონეთ. მერე, სამწუხაროდ, მე და ძოძუაშვილი არაბეთში წავედით სამუშაოდ, შემდეგ „ალანიაში“ გადავედი... მოკლედ, ახლა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კვლავ სერიოზულად დავიწყე ფიქრი მცხეთის სკოლის პროექტის განხორციელებაზე“.

ვლადიმერ გუცაევის თქმით, სკოლას იტალიელები დააფინანსებენ: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის მეშვეობით მოხდა „იუვენტუსის“ საფეხბურთო კლუბის მესვეურთა დაინტერესება. ასე რომ, სულ მალე მცხეთაში საფეხბურთო სკოლაც გაიხსნება და „იუვეს“ ფარმ-კლუბიც, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში ითამაშებს.

„ბარსელონაში“ დიდი სატრანსფერო ციებ-ცხელებაა

კატალონიურ „ბარსელონაში“ დიდი სკადრო ცვლილებებია: ახალი პრეზიდენტი — ჟოან გასპარი, ახალი მწვრთნელი — ლორენც სერა ფერერა, ახალი ფეხბურთელები. სწორედ მათ ეხება ეს ინფორმაცია.

ახალ სამუშაო კაბინეტში შესვლისთანავე ფერერმა კლუბის ხელმძღვანელობას იმ ფეხბურთელების ვინაობა აუწყა, რომლებიც მომავალ სეზონში გუნდს არ გამოადგებიან: ესენია მეკარეები — ვიტორ ბაია და რუდ ჰესპი, მცველები — ფრედერიკ დეუ, უინსტონ ბოგარდი, სამუელ ოკუნოვო, ნახევარმცველი — იარი ლიტმანენი. „ამიერიდან შეგიძლიათ ახალი გუნდი ეძებოთ“ — ასე მიმართა მათ მწვრთნელმა.

ტრანსფერზე დაყენებული ფეხბურთელების ვინაობის გამომზეურებისთანავე ესპანური პრესა კომენტარს არ იშურებს. ეთანხმებიან რა საერთო ჯამში მწვრთნელს გაკეთებულ არჩევანში, ექსპერტები გაკვირვებას გამოხატავენ „შავ სიაში“ პორტუგალიის ეროვნული ნაკრების მეკარის ვიტორ ბაიას მოხვედრის თაობაზე. იგი ახლახან დაბრუნდა „პორტუდან“, სადაც განათხოვრებული იყო. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მწვრთნელ ვან გაალის განთავისუფლების შემდეგ, სწორედ ბაია დაიცავდა „ბარსას“ კარს.

ასევე იჯარის უფლებით იყო გასხვისებული, ოღონდ ახლა უკვე პორტუგალიურ „ბენფიკაში“, სამუელ ოკუნოვო. ჰესპმა კატალონიურ კლუბში სამი სეზონი ითამაშა, მაგრამ უკანასკნელი იმდენად წარუმატებელი იყო მისთვის, ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა.

უინსტონ ბოგარდსა და მის ტრანსფერზე დიდი ხანია ლაპარაკია, ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მცველი ლონდონის „არსენალს“ მიაშურებს.

ფინელი იარი ლიტმანენი და ფრანგი ფრედერიკ დეუ „ბარსელონაში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით მივიდნენ, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდნენ.

გარდა ზემოჩამოთვლილი მოთამაშეებისა, ცნობილი გახდა, რომ გუნდს დატოვებს ევრო-2000-ზე თავგამოჩენილი ნახევარმცველი, ჰოლანდიელი ბუდევეინ ზენდენი. მან რომის „ლაციოსთან“ გააფორმა კონტრაქტი: „ლაციო“ „ბარსას“ 12,5 მილიონ დოლარს გადაუხდის.

„ბარსამ“ კონტრაქტი გააფორმა ესპანეთის ნაკრების ახალგაზრდა ნახევარმცველ ხერარდთან, რომელიც აქამდე „ვალენსიაში“ გამოდიოდა. ტრანსფერის ღირებულება 20,5 მილიონი დოლარია, კონტრაქტი ხუთწლიანია. იტყობინებიან, რომ თავად ფეხბურთელი წელიწადში 2,26 მილიონ დოლარს მიიღებს.

უახლოეს მომავალში „ბარსაში“ მოსალოდნელია კიდევ ორი ფეხბურთელის, არსენალელების — მარკ ოვერმარსის და ემანუელ პეტის გადაყვანა.

ფელიქს მაგათი, როგორც... მოჭადრაკე!

ჰესენის მხარეში (გერმანია) ფელიქს მაგათი ნამდვილ სპორტულ გმირად ითვლება, რახან მან მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტს“ ბუნდესლიგაში შეუნარჩუნა ადგილი, რაც მეტად ძნელი რამ იყო. გერმანული სპორტული პრესა მას გენიალურ ფეხბურთელს უწოდებს, რომელსაც საფეხბურთო სამყაროში მეტად თავისებური მეტსახელი ჰქონდა — „ხარისხი“!

ზაფხულში, როცა ფელიქს მაგათმა გაიხსენა თავისი ძველი, ჭადრაკის სიყვარული და მაინის ფრანკფურტის დიდ საერთაშორისო ტურნირს ეწვია, დიდოსტატ ერიკ ლობრონთან ერთად ამხანაგური პარტიაც ითამაშა. ყაიმით დაასრულა შეხვედრა დიდოსტატებთან არტურ იუსუპოვსა და ჰანს-ვალტერ შმიტთან. ეს საკმაოდ საინტერესო პარტია ჟურნალმა „როხადემ“ დაბეჭდა, რომელმაც ამავე დროს მკითხველებს გაახსენა, ვინ არის მაგათი ფეხბურთში: მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი, ევროპის 1980 წლის ჩემპიონი, „ჰამბურგერ შპორტფერაინის“ შემადგენლობაში ევროპის თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული, გერმანიის სამგზის ჩემპიონი, რომელმაც ნაკრებში 43 მატჩი ჩაატარა.

აი, ფელიქს მაგათის ინტერვიუს რამდენიმე ნაწყვეტი ჟურნალ „როხადეს“ კორესპონდენტ ჰარტმუდ მეცთან.

— ერთი თქვენი ფეხბურთელი ამბობს, არ გამიგონია, რომ „ტიტანიკი“ გადაერჩინოს, მაგრამ ფეხბურთის კლუბს ყოველთვის გადაარჩენსო. თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ, მაგრამ როგორ უთავსებთ ერთმანეთს „მეფე ფეხბურთსა“ და „სამეფო თამაშს“. „ავ ძაღლს“ გეძახიან, განა შესაძლებელია თქვენთვის ამგვარად ჭადრაკის თამაში?

— ვისაც სპორტში სიმაღლეების დაპყრობა უნდა, დილიდან საღამომდე უნდა იმუშაოს. ასეა ფეხბურთში. არა მგონია, რომ წამყვანი მოჭადრაკეები სხვაგვარი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. „ავ ძაღლს“ იმიტომ მეძახიან, რომ დილიდან საღამომდე ფეხბურთელებს ჩავჩიჩინებ, ყველაფერი იღონონ, სპორტისთვის მსხვერპლსაც არ მოერიდონ, მოახდინონ საკუთარი თავის სპორტთან იდენტიფიცირება.

● ***ჭადრაკს როგორ დაუკავშირდით?***

— ბავშვობიდანვე ვიცოდი, როგორ დადის ეტლი ან კუ, მაგრამ უფრო ღრმად ჭადრაკი 1978 წლიდან გავიგე. ჰეპატიტით დავავადდი, რომელმაც საწოლს მიმაჯაჭვა. ამ დროს დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს კარპოვისა და კორჩნოის მატჩს ფილიპინებზე, სათანადო ლიტერატურაც შევიძინე: როცა ფეხზე წამოვდექი, ჰამბურგის საჭადრაკო კლუბში გავწევრიანდი. მქონდა ისეთი დღეებიც, როცა ფეხბურთის ვარჯიშის შემდეგ სადილსაც კი ვერ ვასწრებდი, მხოლოდ შოკოლადის ამარა ვრჩებოდი, ისე მიმეჩქარებოდა საჭადრაკო კლუბისაკენ. ერთხანს საჭადრაკო შეჯიბრებების პასიური დამსწრე ვიყავი, შემდეგ ლიტერატურის შესწავლა დავიწყე და პროფესიონალ საჭადრაკო მწვრთნელებსაც დავუკავშირდი.

ფელიქს მაგათი (მარცხნივ) და დიდოსტატი ერიკ ლობრონი საჭადრაკო პარტიის გარჩევისას

● ***რას იტყვით ჭადრაკზე?***

— ეს არის მეტისმეტად ლამაზი თამაში. ჭადრაკის შემდეგ ფეხბურთშიც ზოგი რამ თავისებურად გავიგე.

● ***მაინც, რა?***

— ის, რომ, თითოეული სვლით რაღაცას უნდა დაემუქრო. უამისოდ, დროს კარგავ. დაკარგული დრო როგორც ჭადრაკში, ისე ფეხბურთში ხიფათს გადაგვყრის. სამწუხაროდ, ჭადრაკს ბევრი ფეხბურთელი არ თამაშობს. რომ თამაშობდნენ, მინდორზეც უკეთესები იქნებოდნენ.

● ***ვიცი, რომ ცნობილი ბრემენელი ოსტატი მარკო ბოდე (ახლა გერმანიის ნაკრების წევრია — ბ.გ.) ჭაბუკობისას ისე კარგად თამაშობდა ჭადრაკს, რომ დიდ მომავალსაც კი უწინასწარმეტყველებდნენ. შემდეგ ფეხბურთმა გადასძლია...***

— დიახ, საწყენია, რომ ჭადრაკს ცოტანი თამაშობენ. 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მეხიკოში უამრავ პარტიას ვეთამაშებოდი ოლაფ ტონს, რომელთანაც ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ძალიან ძლიერად თამაშობდა ჩვენი იუგოსლაველი მწვრთნელი „ჰამბურგერ შპორტფერაინში“ ბრანკო ზებეცი ყველას გვიგებდა.

● ***დაახლოებით როგორი ძალით თამაშობთ ჭადრაკს?***

— არც ისე ძლიერი ვარ. ჭადრაკი ჩემთვის ფეხბურთისაგან თავისებური განტვირთვა იყო. იგი მილამაზებს ცხოვრებას. მასში შეყვარებული ვარ, სამწუხაროდ, სათამაშოდ აღარც ნერვები მყოფნის და აღარც მოთმინება.

● ***მონაწილეობდით ერთდროული თამაშის სეანსში გარი კასპაროვის წინააღმდეგ.***

— ცოტაოდენი ვისაბურეთ კიდეც. თამაშში კი დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ფეხბურთისადმი დიდი სიმპათიის გამო კასპაროვი მაინც მინდობდა. და ამის მიუხედავად თავისი შეუპოვრობის წყალობით მაინც მოიგო.

პუბლიკაცია მოამზადა
ბიბი ბამრეკელმა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

„ჩახლაულის“ თავისებური სტუმართმოყვარეობა

ფრანგმა არბიტრმა სტეფან ბულინმა, რომელიც ინტერტოტოს მესამე რაუნდში რუმინული „ჩახლაულისა“ და „აუსტრიას“ (ვენა) მატჩს სჯიდა (2-2) უეფას განმარტებითი ბარათით მიმართა. იგი წერს, რომ თამაშის დღეს რუმინელმა მასპინძლებმა მას, ცოტა არ იყოს, უცნაური წინადადებით მიმართეს, უნდოდათ მიეყვანათ ოთხი მეძავი, რომლებისთვისაც მისაცემი ფული უკვე გადახდილი იყო.

იმის მიუხედავად, რომ „ჩახლაულის“ კლუბის პრეზიდენტი აცხადებს, ამ მეძავებს გუნდთან არანაირი დამოკიდებულება არა აქვთო, უეფამ გადაწყვიტა ამ საქმის სპეციალური შესწავლა.

გაცვლა-გამოცვლის ვარიანტი ასეთია

„არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი ეცნობა „ბარსელონას“ ხელმძღვანელობის მიერ შეთავაზებულ ასეთ ვარიანტს: თუ იგი კატალონიელებს დაუთმობს მარკ ოვერმარსსა და ემანუელ პეტის, მიიღებს რონალდ დე ბურს, ფილიპ კოკუსა და უინსტონ ბოგარდს.

თუ ვენგერს გაცვლა ხელს არ აძლევს, მაშინ „ბარსელონა“ თანახმაა ოვერმარსსა და პეტიში 37 მილიონი დოლარი გადაიხადოს.

33–0! რა ამბავია!

ახალი სეზონის წინ როგორი შედეგები არ აღინიშნება საკონტროლო მატჩებში. მაგრამ ეს კი მეტისმეტი იყო: ესპანეთის პირველი ლიგის კლუბი „რასინგი“ (ქ. სანტანდერი), რომელსაც ეს-ეს არის სათავეში ჩაუდგა ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი ანდონი გოიკოეჩეა, შეხვდა ჰოლანდიის მეოთხე ლიგის გუნდ „სმილდეს“ და დაამარცხა ანგარიშით 33-0!

9 გოლი გაიტანა მორანმა, 7 რუსფელტმა, 4 ბესჩასტნიხმა და ა.შ.

ვეა „გაეყარა“ „მილანს“

იმის მიუხედავად, რომ კონტრაქტის ძალით 33 წლის ჯორჯ ვეა კიდევ ერთი სეზონი „მილანს“ ეკუთვნოდა, კლუბის ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა ამ ხელშეკრულების გაუქმება. ახლა ვეას შეუძლია, სადაც სურს იქ წავიდეს.

ერთი წლის წინათ ვეას ძალიან გაუჭირდა ურთიერთობა „მილანის“ მწვრთნელ ალბერტო ძაკერონისთან, ამიტომ იგი იჯარით „ჩელსის“ დაუთმეს. ეს ერთი წელი რომ გავიდა, ვეას იმედი ჰქონდა, რომ ჯანლუკა ვიალი მას სთხოვდა დარჩენილიყო. ეს ასე არ მოხდა. რაც შეეხება იგივე „მილანს“, აქ ვეას ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდა.

ყოველივე ამის მიუხედავად „ოქროს ბურთის“ 1995 წლის მფლობელი, ეტყობა, უმუშევრად არ დარჩება. როგორც „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, მას ამ დღეებში ესაუბრა „რომას“ პრეზიდენტი სანსი და შეეცადა მიეღო ცნობები შავკანიანი თავდამსხმელის შესახებ. საქმე ის არის, რომ ადრე „მილანში“ მუშაობისას „რომას“ ახლანდელ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს ვეა ძალიან მოსწონდა. დიახ, მაგრამ ახლა „რომას“ ხომ ჰყავს ბატისტუტა, ემერსონი, მონტელა და ტოტი — როგორ აპირებს კაპელო ვეას გამოყენებას.

ვეათი დაინტერესდა აგრეთვე „ბოლონია“ და ლონდონის „ფულჰემი“.

ფერგიუსონი ინგლისში ხელმოცარული დაბრუნდა

ლორან ბლანს ბრწყინვალე შანსი ეძლეოდა გაეგრძელებინა საფრანგეთის ნაკრებში დამკვიდრებული ტრადიცია და ყოველი მატჩის წინ მელოტ თავზე ეკოცნა მეკარე ფაბიენ ბარტეზისათვის. საქმე იმაშია, რომ ბარტეზის ყიდვის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის“ შოტლანდიელმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა „ინტერიდან“ ლორან ბლანის გადმოყვანაც მოინდომა. ამ მიზნით, ფერგიუსონმა პირადად ჩააკითხა კანარის კუნძულებზე დასასვენებლად მყოფ ბლანს და რამდენიმესაათიანი ლაპარაკი ჰქონდა მასთან. საბოლოოდ არაფერმა გაჭრა და მწვრთნელი ხელმოცარული დაბრუნდა მანჩესტერში.

«ბარსამ» შური იძია

სამეფო კლუბში გადასულ ლუიშ ფიგუ კატალონიაში მოღალატედ გამოაცხადეს. „ბარსელონამ“ თავისებურად იძია შური „რეალზე“ და იქიდან არგენტინელი ფერნანდო რედონდო გადაიბირა. ამ გარიგების სატრანსფერო თანხა — 19 მილიონი დოლარი ფიგუსთან შედარებით (56 მილიონი!) რა მოსატანია. სამაგიეროდ, რედონდომ პორტუგალიელს მთავარში აჯობა — მისი წლიური ხელფასი 5,1 მილიონი დოლარი იქნება, ანუ ნახევარი მილიონით მეტი, ვიდრე ფიგუსი.

გულშემატკივრებს უფასოდ გადაიყვანენ

მოსკოვის „ლოკომოტივი“ დისკვალიფიკაციის გამო საშინაო მატჩებს მოსკოვთან ახლოს მდებარე ქალაქ რამენსკოეს „სატურნის“ სტადიონზე ატარებს, რომელიც ამავე სახელწოდების კლუბის საკუთრებაა.

უგულშემატკივრებოდ რომ არ დარჩეს, „ლოკომოტივმა“ გადაწყვიტა ყოველ მატჩში უფასოდ, ელექტრომატარებლით გადაიყვანოს ისინი რამენსკოეში.

4 აგვისტოს მთავრდება

4 აგვისტოს მთავრდება „საგანაცხადო სერია“ რუსეთის ფეხბურთში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოთამაშეების გადაბარგ-გადმობარგება.

სამარის „კრილია სოვეტოვის“ მწვრთნელმა ალექსანდრ ტარხანოვმა გასასინჯად მიიწვია მოთამაშეების დიდი ჯგუფი, მათ შორის გიორგი გოგიაშვილი და გიზო ჯელაძე, თვით კი ზურად ფოფხაძე (გუნდის ყოფილი კაპიტანი) იჯარით დაუთმო ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივს“. დავით გვარამაძე გუნდში დარჩა, კიდევ ერთი მეკარე სტრიკალოვი კი ასევე ნიჟნი ნოვგოროდში ითამაშებს.

10 მილიონი მიიღეს და 9 დახარჯეს

ვიგოს „სელტას“ ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა, ბრაზილიელმა მაზინიომ და არგენტინელმა მარიო ტურდომ დატოვა გუნდი. მაზინიო თავისუფალი აგენტის სტატუსით „ელჩეში“ გადავიდა, ისე რომ, „სელტამ“ ვერაფერი მიიღო, მაგრამ ფრანგულმა „რენმა“ ტურდოს ათი მილიონი დოლარი გადაუხადა.

ეს თანხა „სელტამ“ ახალი მოთამაშეების შეძენას მოახმარა. ასე მაგალითად, „რომადან“ გადავიდა ბრაზილიელი ნახევარმცველი ვაგნერი, „სევილიიდან“ კი თავდამსხმელი ხესული. ეს ტრანსფერები 9 მილიონი დოლარი დაჯდა.

ჟორჟ ვეა

რედონდო არ იყიდებაო და... გაიყიდა!

„მილანის“ მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი ყოველთვის ჩიოდა, რომ გუნდს არა ჰყავს მაღალი კლასის გამთამაშებელი, ეს კი ხშირად ცარიელს ტოვებს თავდამსხმელებს. ამიტომ კარგა ხანია მოლაპარაკება ჰქონდა მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობასთან არგენტინელი ფერნანდო რედონდოს დათმობის შესახებ, რომელსაც ესპანეთის დედაქალაქში „სენიორ ელეგანტურობას“ უწოდებენ.

სულ ხუთი დღის წინათ „რეალის“ ტექნიკურმა დირექტორმა ხოსე მარტინეს პირიმ (არც ისე დიდი ხნის წინათ ამ კლუბის ცნობილმა მოთამაშემ) ერთხელ კიდევ განაცხადა, რომ რედონდო არავითარ შემთხვევაში არ გაიყიდებოდა, მაგრამ...

შაბათს გამოქვეყნებულ ცნობაში გამოცხადდა, რომ რედონდო მაინც გადადის „მილანში“. ამან „რეალის“ გულშემატკივრების ნამდვილი აღშფოთება გამოიწვია. მიეჭრნენ „რეალის“ საწვრთნელ ბაზაზე და რედონდოს დიდხანს საშუალებას არ აძლევდნენ დაეტოვებინა იგი.

ეფენბერგის კიდევ ერთი უარი, ამჯერად ფიოლერს

შტეფან ეფენბერგი კვლავ უარზეა დაუბრუნდეს ნაკრებს. ამჯერად მან ცივი უარი შეუთვალა ნაკრების ახალ ხელმძღვანელს რუდი ფიოლერს, თავის ყოფილ პარტნიორს „ბუნდესტიმში“. ეფენბერგი, რომელსაც ნაკრებში 35 მატჩი აქვს ჩატარებული, ამ გუნდიდან გააძევეს მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში გულშემატკივრების მიმართ სამარცხვინო ჟესტისათვის. 1998 წელს იგი დაბრუნდა, სულ ორი მატჩი ჩაატარა, მაგრამ შემდეგ განაცხადა, რომ სურს მეტი დრო დაუთმოს ოჯახს და „ბაიერნს“.

რისთვის დასჭირდათ აზევედუ?

მოსკოვის „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა პორტუგალიიდან ჩამოიყვანა ყველასათვის უცნობი თავდამსხმელი აზევედუ. ამავე გუნდის მეორე მწვრთნელი ვლადიმირ ეშტრეკოვი კი ფიქრობს, რომ აზევედუ აუცილებლად გაამწვავებს კონკურენციას თავდასხმაში, სადაც გუნდს, რომელიც რუსეთის ჩემპიონობისათვის იბრძვის, ძალზე უფერული შედეგები აქვს. აი თავდამსხმელების შედეგებიც 18 ტურის შემდეგ: ოლეგ გარასმა ითამაშა 4 მატჩი, გოლი ვერ გაიტანა, რუსლან პიმენოვმა ითამაშა ხუთჯერ, უგოლოდ. ზაზა ჯანაშიამ ათ მატჩში (თავიდან ბოლომდე ჩაატარა 3, გაიტანა 2 გოლი), დმიტრი ბულიკინმა 14 მატჩში გაიტანა 1 გოლი, ოლეგ ტერეხინმა 14 მატჩში — 3 გოლი.

მიდი და ამის შემდეგ მართლაც ნუ მოიწვევ პორტუგალიელს!

„ტრაპი“ მეათე მწვრთნელია

ამ დღეებში იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნული ჯოვანი ტრაპატონი „სკუადრა აძურას“ ისტორიაში მეათე ხელმძღვანელია.

გადავხედოთ, ყველა ადრინდელი მწვრთნელის სიას. 1. ვიტორიო პოცო — 1912, 1924, 1929-48 წლები. 95 მატჩი, 63 მოგება, 17 ფრე, 15 წაგება. 2. აუგუსტო რანგონე, 1925-28 წლები. 24 მატჩი, 12 მოგება, 7 ფრე, 5 წაგება. 3. ედმონდო ფაბრი, 1962-66 წლები. 29 მატჩი, 18 მოგება, 6 ფრე, 5 წაგება. 4. ფერუჩიო ვალკარეჯი, 1967-74 წლები, 54 მატჩი, 28 მოგება, 20 ფრე, 6 წაგება, 5. ენცო ბეარზოტი, 1977-86 წლები, 88 მატჩი, 40 მოგება, 26 ფრე, 22 წაგება. 6. აძელიო ვიჩინი, 1986-91 წლები, 54 მატჩი, 32 მოგება, 15 ფრე, 7 წაგება. 7. არიგო საკი. 1991-96 წლები. 53 მატჩი, 34 მოგება, 11 ფრე, 8 წაგება. 8. ჩეზარე მალდინი. 1997-98; 20 მატჩი, 10 მოგება, 8 ფრე, 2 წაგება. 9. დინო ძოფი. 1998-2000 წლები. 23 მატჩი, 11 მოგება, 7 ფრე, 5 წაგება.

იუპ ჰაინკესი: „მსოფლიო კლასის მხოლოდ ერთი მოთამაშე გვყავს“

ახლა ბევრი სპეციალისტი ცდილობს უპასუხოს კითხვას: „რა ვუშველოთ გერმანულ ფეხბურთს“? ცნობილი გერმანელი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი ესაუბრა ჟურნალ „შპიგელის“ კორესპონდენტს.

იუპ ჰაინკესი

● ჰერ ჰაინკეს! ორი წლის წინათ არ მოისურვეთ ეროვნული ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ბერტი ფოგტსის შეგეცვალათ. ახლა არც ერიხ რიბეკის შეცვლა მოინდომეთ. რა გაქვთ ნაკრების მწვრთნელის თანამდებობის საწინააღმდეგო?

— სრულიად არაფერი. პირიქით, ამ წინადადებას ხელიდან არ გავუშვებდი კიდეც. მაგრამ მე ხომ კიდევ ერთწლიანი მოქმედი კონტრაქტი მაქვს ლისაბონის „ბენფიკასთან“.

● არავითარ შემთხვევაში არ გვსურს მოგიწოდოთ დაარღვიოთ ეს უდავოდ მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ხელშეკრულება. მაგრამ მაინც გავბედავ და შეგეკითხებით, განა არ შეიძლებოდა, გერმანული ფეხბურთის ინტერესებისათვის „ბენფიკას“ პრეზიდენტის წინაშე დაგესვათ საკითხი შეწყვეტილიყო ეს კონტრაქტი?

— არა, იმიტომ, რომ მხოლოდ ახლა „ბენფიკას“ პრეზიდენტთან ერთად შევიმუშავე გუნდის თამაშის ახალი კონცეფცია. 14 ფეხბურთელი გავათავისუფლეთ, 40 მილიონი მარკა გვაქვს ახლების შესაძენად. როგორ ფიქრობთ, რას მეტყოდა პრეზიდენტი, სწორედ ახლა რომ მომენდომებინა გუნდის დატოვება. დამიწყებდა ერთი სასამართლოდან მეორეში ჩივილს და, თავის მხრივ, მართალიც იქნებოდა. ეს ჩემთვის მძიმე მოვალეობაა და, ამავე დროს, ღირსების საქმეც — განვახორციელოთ პროექტი „ბენფიკაში“.

● თქვენმა კოლეგამ კრისტოფ დაუმმა გაცილებით მეტი სურვილი და ფანტაზია გამოამჟღავნა, როცა თქვა, რომ შეძლებდა ნაკრების წვრთნას, ისე, რომ არც ლევერკუზენის „ბაიერს“ დატოვებდა.

— კრისტოფ დაუმს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ფრიად შესაფერის კანდიდატურად ვთვლი, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ბაიერს“ დატოვებს. თუმცა, ახლა ეს მხოლოდ ლაპარაკია და სხვა არაფერი.

● თვლით თუ არა დაუმს გერმანიის ფეხბურთელთა კავშირში მისი მომხრეების მსგავსად ნაკრების მწვრთნელის იდეალურ ვარიანტად? იგი ხომ ძალიან განსხვავდება თქვენგან.

— ეს ჩემს საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. ძველებურად ვთვლი ჩემს თავს არა საფეხბურთო ცოდნის გამავრცელებელ-გამყიდველად, არამედ ფეხბურთის მასწავლებლად. ამასთან, უპირატესობაც მაქვს: გერმანიაში ყველა ცდილობს იმ საიდუმლოების ამოხსნას, როგორ უნდა მომზადდეს ფეხბურთში ახალი თაობა. მე კი უკვე ვიცი, როგორ უნდა აღვზარდო იგი. ამ მხრივ არავითარი პრობლემა არა მაქვს.

● შეგიძლიათ გვითხრათ როგორი იქნება თქვენი მოთხოვნები ნაკრების მთავარი მწვრთნელის მიმართ?

— მას უნდა ჰქონდეს ავტორიტეტი, პროფესიული კომპეტენცია და სწავლების ელეგანტური მანერა. ბუნდესტრენერი ის კაცი უნდა იყოს, ვისაც ფეხბურთის სრულიად ნათელი ფილოსოფია და მისი რეალიზაციის უნარი აქვს.

● როგორ შეაფასებთ, ამ თვალსაზრისით, ერიხ რიბეკის მუშაობას?

— კოლეგების მუშაობას, პრინციპული მოსაზრებით არ შევაფასებ. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი, რაც გერმანიის ნაკრებს ევროპის პირველობაზე მოუვიდა, გერმანული ფეხბურთის პასუხისმგებელი პირები აფასებენ, უბრალოდ, როგორც უბედურ შემთხვევას. მაგრამ საქმეს ხომ ერთი ბუნდესტრენერის შეცვლით არ ეშველება.

● ესე იგი, უნდა შეიცვალოს გერმანიის ფეხბურთის კავშირის მთელი ხელმძღვანელობა?

— გერმანიის ფეხბურთის კავშირს ბევრი სერიოზული ამოცანა აქვს გადასაწყვეტი, მაგრამ მასში უნდა შეიქმნას მაღალკვალიფიციური ადამიანების შტაბი, რომელიც მხოლოდ ნაკრების საკითხებით იქნება დაკავებული.

● ვინ არიან ეს ადამიანები?

— კომპეტენტური ნაკრების შესაქმნელად ახალ ბუნდესტრენერს ესაჭიროება ბიუჯეტი დაახლოებით 20 მილიონი მარკის ოდენობით. მის შტაბში უნდა შედიოდნენ მწვრთნელი — ასისტენტები, რომლებსაც თავიანთ პროფესიაში სათანადო ცოდნა აქვთ. მაგალითად, ჰერბერტ ნოიმანი, ევალდ ლინენი, ჰერმან ჰერლანდი. ვერსად მონახავთ იმაზე უფრო კომპეტენტურ პიროვნებას ახალგაზრდების აღსაზრდელად, ვიდრე ბერტი ფოგტსია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობაში პროფესიული მენეჯერია ვოლფგანგ ნირსბახი. საჭიროა აგრეთვე ული ჰიონესისა და მიხაელ მაიერის მსგავსი გენერალური მენეჯერი, რომელიც ბუნდესტრენერს ყოველგვარი ისეთი საქმეებიდან გაანთავისუფლებდა, რაც აფერხებს მის მუშაობას. აგრეთვე მუდმივი კონტაქტი ექნებოდა ბუნდესლიგის კლუბებთან. აუცილებელია პროფესიონალი ფუნქციონერი, ისეთი, როგორიც კარლ-ჰაინც რუმენიგეა, რომელიც ყოველთვის ნაკრებთან იქნება.

● მხოლოდ გერმანიის ფეხბურთის კავშირის მოძველებული სტრუქტურებით ძნელია იმის ახსნა, რატომ თამაშობენ სხვა ნაკრებები გერმანელებზე უკეთესად.

— ეს იმითაც აიხსნება, რომ ჩვენს ახალგაზრდობას უკვე თავიდანვე აქვს ყოველივე ის, რისკენაც წინა თაობები მიისწრაფოდნენ. რატომ თამაშობენ ბუნდესლიგაში ესოდენი წარმატებით სოციალურად ჩამორჩენილი ქვეყნების წარმომადგენლები, იმიტომ, რომ სურთ თავი დააღწიონ სიღატაკეს, იმიტომ, რომ ფეხბურთის წყალობით საზოგადოებაში სოციალურ აღიარებას მოიპოვებენ.

● დიახ, მაგრამ საფრანგეთის ან ჰოლანდიის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა გერმანულის მსგავსია. აი ფეხბურთში კი სულ სხვა შედეგები აქვთ.

— იქ სხვა პროცესებია, რაც ხელს უწყობს ეროვნული ფეხბურთის განვითარებას. ფრანგებს, ესპანელებსა და ჰოლანდიელებს უკვე დიდი ხანია აქვთ მსხვილი საფეხბურთო ინტერნატები, სადაც თანაბარი რაოდენობით ასწავლიან მეცნიერებასა და ფეხბურთსაც. ბურთი, ბუნებრივია, ყურადღების ცენტრშია, ამიტომ ფეხბურთისაგან მეტ სიამოვნებას იღებენ, ამით სძლევენ ვარჯიშისა და სწავლის ყველა სიძნელეს.

● მიუნხენსა და ლევერკუზენში ხომ არის ასეთი ინტერნატები.

— შეგიძლიათ ქალალდზე, როგორიც გნებავთ ისეთი ლამაზი პროექტები შექმნათ. მთავარია, რომ იგი სიცოცხლისუნარიანი იყოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საჭიროა კვალიფიციური, შემოქმედებითად მოაზროვნე ბავშვთა მწვრთნელების მონახვა. აი ამ მხრივ კი გერმანიაში კატასტროფაა. ვისზე უნდა აიღოს ახლა ახალგაზრდა ფეხბურთელმა ორიენტაცია, როცა არა გვყავს მოთამაშეები, რომლებსაც შეიძლება მიბაძოს. ახლა ჩვენს ნაკრებს მსოფლიო კლასის მხოლოდ ერთი მოთამაშე გვყავს — ესაა ოლივერ კანი. მაგრამ ის ხომ მეკარეა. მსოფლიო ჩემპიონატებში გერმანული ფეხბურთის უდიდესი წარმატებები დაკავშირებული იყო დიდი ფიგურების გამოჩენასთან, რომლებსაც, ამასთან ერთად, მეტად უყვარდათ ფეხბურთი.

● თვლით, რომ თანამედროვე მოთამაშეებს ფეხბურთი არ უყვართ?

— გავიხსენოთ ჰოლანდიელებისა და ფრანგების მატჩი ევროპის პირველობაზე. ეს იყო თანამედროვე ფეხბურთის სიყვარულის ახსნა. გერმანელებს კი უკვე კარგა ხანია ფეხბურთი აღარ უყვართ.

● რას ელით 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატისაგან, ახალ მარცხს?

— არავითარ შემთხვევაში. დარწმუნებული ვარ, რომ არც ისე დიდი ხნის შემდეგ, ნაკრები, თუ კარგად მოემზადება, მიაღწევს წარმატებას. შემდეგ კი ახალი თაობები წამოგვეზრდება და კარგი მომავალი გვექნება.

● ვინ არიან ეს ჭაბუკი ფეხბურთელები?

— უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია, რომ 82 მილიონიან ქვეყანაში არ გამოჩნდნენ საფეხბურთო ტალანტები. ასეთი მოთამაშეები ახლაც არიან. ის, რომ მიხაელ ბალაკი, თუმცა მან ევროპის ჩემპიონატში მაინცდამაინც კარგად ვერ ითამაშა, ჩემთვის უდავოა, საჭიროა მხოლოდ მისი ნიჭის განვითარება.

● გერმანელებს ძალიან გამოადგებოდათ მოთამაშე, ნამდვილი ლიდერი.

— რახან ასეთი არა გვყავს, ამ ევროპის პირველობაზე დაგვემართა ყველაზე უარესი რამ, რაც კი შეიძლებოდა მოგვსვლოდა: როცა გუნდი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა ხოლმე, აღარ იცოდა, რა ეღონა თავის დასაღწევად.

● ლოთარ მათეუსმა თავის ავტორიტეტს მაშინ მიმართა, როცა ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო. მან გაამტყუნა ისინი, ვინც ასე სამარცხვინო ჩავარდნის შემდეგ თავის მართლებას შეუდგა.

— ეს მიღწეული შედეგის თავისებური ასახვა იყო.

● სხვა ქვეყნების გულშემატკივრები ნაკრების წარმატების შემდეგ ნამდვილ ეროვნულ ზეიმს აწყობდნენ. ეს გერმანიაში არ შეიძლებოდა მომხდარიყო — იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი მოთამაშეებისათვის უკვე აღარა აქვს დიდი მნიშვნელობა, რომელი ქვეყნის წარმომადგენლები არიან. შტეფან ეფენბერგმა კი საერთოდ უარი განაცხადა ნაკრებში თამაშზე, ცინიკურ სარეკლამო გადაცემებში მონაწილეობა ამჯობინა.

— ასეთი რამე რომ ესპანელს ან პორტუგალიელს ეკადრა, მას თავის მიწაზე ფეხს ვინ დააკარებინებდა. მაგრამ, იქნებ თვით შტეფან ეფენბერგსაც ვავუგოთ? არ შეიძლება უბრალო შემთხვევითობა იყოს ის, რომ ეს გასაოცარი ევროპის პირველობა ასეთი შთაგონებული ფეხბურთით გერმანელებს ასცდა.

● ჰოლანდიელებმა დაწერეს გერმანელებზე: „საფეხბურთო ერი კვდება“. ეს უკვე მეტისმეტია, არა?

— ის, რომ ჩვენს ფეხბურთს ნელი სიკვდილი ემუქრება, უდავოა. მაგრამ უფრო ზუსტი მიმაჩნია ესპანელების შეფასება: „ეს ქვის ხანის ფეხბურთია“. ასეთი შეფასების წინააღმდეგ არავითარი არგუმენტი არა გვაქვს.

● დიახ, მაგრამ ვინ თამაშობდა ევროპის პირველობაზე ახალი დროის ფეხბურთს?

— ის გუნდები, რომლებმაც თავიანთი საფეხბურთო ხელოვნება ავტომატიზმამდე აიყვანეს. გერმანელებისაგან განსხვავებით იტალიელებს, ფრანგებს, ჰოლანდიელებს, ესპანელებსა და პორტუგალიელებს ბურთთან ურთიერთობის რაიმე პრობლემა არ ჰქონიათ. მათ იციან ეს საქმე.

● როცა პორტუგალიელებთან ანგარიში 0-3 გახდა, სიმწრის გრძნობა ან თანამემამულეებისადმი თანაგრძნობა არ გქონიათ?

— თავი ერთ-ერთ მათგანად ვიგრძენი, ვერ შევძელი, როგორც გერმანელმა, განცალკევება. ერთი მხრივ, ამან მეტად დამამცირა, მეორეს მხრივ კი გადამაწყვეტინა რაიმე ღირებული გავაკეთო ჩემს პროფესიულ სამწვრთნელო სფეროში.

● რას გააკეთებთ, როცა ლისაბონის „ბენფიკაში“ პირველ ვარჯიშს ჩაატარებთ, მოთამაშეებს თანამედროვე ფეხბურთზე ლაპარაკს დაუწყებთ, ისინი კი სევდიანად გაიფიქრებენ: „რა უნდა გვასწავლოს ამ უხეირო გერმანელმა“?

— იმედი მაქვს, იმის გამო, რომ ამდენ ხანს ვიმუშავე ესპანეთსა და პორტუგალიაში, იქაური მოთამაშეები მიყურებენ, როგორც სანახევროდ სამხრეთული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელს.

მოამზადა
ბივი თორელმა

დიდი გუნდების მესაჭეები

ყველას კარგად ახსოვს, როგორი დიდი მიღწევები ჰქონდა ჯანლუკა ვიალის მინდორზე. ახლა იგი ახალგაზრდა მწვრთნელია, და თუმცა კვლავ მიუწევს გული მინდვრისკენ, უფრო მეტად თავისი ახალი პროფესიის სპეციფიკურ საკითხებზე ფიქრობს. დარდსა და საზრუნავს კი „ჩელსის“ ხელმძღვანელს რა გამოულევს.

გული კვლავ მინდვრისკენ მიუწევს

კონტინენტზე მოთამაშე მწვრთნელებს, რომ იტყვიან, ათასში ერთხელ თუ შეხვდებით, ინგლისში კი ეს ძალიან მიღებულია. იგივე ლონდონის „ჩელსის“ ზედიზედ სამი მთავარი მოთამაშე მწვრთნელი-ჰყავდა. გლენ ჰოდლს დიდი მიღწევები ჰქონდა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურსა“ და „მონაკოში“, მაგრამ, როცა „ჩელსის“ მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს, აქაც გააგრძელა თამაში. როგორც ინგლისელი კომენტატორები ირწმუნებიან, ჰოდლი 37 წლის ასაკშიც ბრწყინავდა მინდორზე, როგორც მწვრთნელმა კი ის გააკეთა, რომ 1994 წელს „ჩელსი“ ინგლისის თასის ფინალში გავიდა. ეს მისთვის დიდ მიღწევად ჩაითვალა. ჰოდლს მეორე დიდ წარმატებად ის ჩაუთვალეს, რომ „მილანიდან“ რუუდ გულიტი მიიწვია. მართალია, იგი დაბერდა და თავდასხმიდან დაცვის ხაზზე გადაიყვანეს, მაგრამ ლიბეროსაც ხომ აქვს თავისი მომხიბვლელობა. მთელი ორი სეზონი ჰოლანდიელი „ჩელსის“ გულშემატკივრების ნამდვილი კერპი იყო.

1996 წელს გლენ ჰოდლი ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს. ახლა გულიტი გახდა „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელი, დგებოდა დრო, როცა მას უკვე მინდორზე აქტიური საქმიანობის შეწყვეტაზე უნდა ეფიქრა. იმ ფეხბურთელებიდან კი, ვინც მან „ჩელსიში“ მიიწვია, ყველაზე უფრო ცნობილი ჯანლუკა ვიალი იყო. იგი 1996 წლის ზაფხულში ჩავიდა ლონდონში მას შემდეგ, რაც ტურინის „იუვენტუსმა“ ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ეს ხომ თავისთავად მოთამაშის უმაღლესი ატესტაცია იყო. სულ მალე, იმავე წლის ნოემბერში „ჩელსიში“ „პარმადან“ მიწვეულმა ჯანფრანკო ძოლამაც დაიწყო თამაში. ვიალის კონტრაქტი სამწლიანი იყო, არავინ იცის, ახსოვს თუ არა მას ის დაპირება, რომელიც „ჩელსის“ გულშემატკივრებს მისცა — 130 გოლი უნდა გაეტანა. ე.ი. სეზონში 43. ეს, რა თქმა უნდა, სრულიად არარეალური იყო, მაგრამ ისიც კარგია, როცა დაგაიმედებენ...

ჰოდლისაგან განსხვავებით, გულიტი ვერაფერი მწვრთნელი აღმოჩნდა, თუმცა ნურც ცალკეულ წარმატებებს დავუკარგავთ. 1997 წელს ინგლისის თასის ფინალში „მიდლსბრო“ დაამარცხა — 2-0. აი, ვიალი კი ამ მატჩში არ მონაწილეობდა, რადგან გულიტთან ურთიერთობა აშკარად გაუფუჭდა. იგი ხან თამაშობდა, ხან არა და გუნდის შემადგენლობაში ცვლილებებს უცდიდა.

ისე კი, მაინცდამაინც დიდხანს არ მოუცდია. 1998 წლის დასაწყისში გულიტმა განაცხადა, რომ კლუბს დატოვებდა. იგი ამბობდა, რომ რისი გაკეთებაც უნდოდა, არ გააკეთებინეს, მის საქმეებში აშკარად ერეოდნენ, სატრანსფერო პოლიტიკა უხეიროდ წარიმართა და ა.შ.

ახლა მთავარი მწვრთნელი უკვე ჯანლუკა ვიალი გახდა. მისი დრო დადგა: უნდოდა ითამაშებდა, უნდოდა, სხვას დაუთმობდა ადგილს. გულიტის „ამბოხებამ“ მას იმ გაგებით უშველა, რომ ახლა უბოდიშოდ მის საქმეებში აღარავინ ეროდა. „არისტოკრატთა კლუბმა“ მალე ძალიან თავისებური სახე მიიღო. აქ თამაშობდა ყველა: იტალიელები, ფრანგები, ესპანელი, ჰოლანდიელი, ნორვეგიელი, ნიგერიელი, რუმინელი, ურუგვაელი... ინგლისელების გარდა. დიახ, შეიძლება ასეც ვთქვათ, რადგან 3 ინგლისელი 16 ძირითად მოთამაშეს შორის ძალიან ცოტაა, თანაც ერთი ამ სამი ინგლისელთაგან, მცველი გრემ დე სო წარმოშობით... ფრანგია.

ვიალი, მწვრთნელი რომ გახდა, მაინც კარგა ხანს აგრძელებდა თამაშს და თანაც გვარიანადაც. 130 გოლი არა, მაგრამ 50 ნამდვილად დაუგროვდა. ხან იგი თავიდანვე თამაშობდა და მაყურებლისათვის ცხადი იყო, ყველაფერი როდი დაავიწყდაო, ხან ძოლას ან ნორვეგიელ ტორე ანდრე ფლოს ცვლიდა. მხოლოდ 1999 წლის ზაფხულში გადაწყვიტა თამაშისათვის თავის დანებება და, როგორც ფიქრობენ, ეს დროულადაც გააკეთა.

„ჩელსი“, რომელიც შედეგიანად, ლამაზად თამაშობს, ინგლისში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ვიალის კლუბის მესვეურები სავსებით ენდობიან, მაგრამ კმაყოფილი არიან ისინი იმ მეხუთე ადგილისა, რომელიც „არისტოკრატებმა“ ინგლისის 1999-2000 წლების ჩემპიონატში დაიკავეს? შესაძლებელია ოდნავ მეტის გაკეთება შეიძლებოდა, ისე კი, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „არსენალთან“ კამათი დღევანდელ პირობებში, ცხადია, მეტისმეტად ძნელია (აქვე, კურიოზის სახით მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველ წრეში „ჩელსიმ“ ადრინდელი და მომავალი ჩემპიონი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაამარცხა ანგარიშით 5-0! რა არ ხდება ფეხბურთში!)

ახლა კი თვით ვიალის მოვუსმინოთ: „არ ვფიქრობ, რომ სეზონი, რომელშიც ინგლისის თასი მოვიპოვეთ და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავედით, ჩვენთვის ჩავარდნილად უნდა ჩაითვალოს. თავდადებას, გულიან თამაშს თუ ვიგულისხმებთ, არც ერთი ფეხბურთელისადმი რაიმე პრეტენზია არა მაქვს. მინდა გულშემატკივრები დავარწმუნო, რომ ახალი სეზონისათვის გუნდის ბირთვი შენარჩუნებული იქნება. ამავე დროს, კლუბის მომავალზეც უნდა ვიფიქროთ, ისე რომ; ახალი მოთამაშეებიც გამოჩნდებიან.“

მაინც ვინ? ზოგზე ახლავე შეიძლება ლაპარაკი. დაცვა უნდა გააძლიეროს ირლანდიელმა ეიდურ გუდიონსენმა, რომელიც აქამდე, აქვე ინგლისში, „ბოლტონ უონდერერსში“ თამაშობდა. ძალიან აქებენ ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველ მარიო სტანიჩს, რომელიც აქამდე „პარმაში“ გამოდიოდა. ჰოლანდიელი ჯიმი ჰასელბაინკი კი, რომელიც მადრიდის „ატლეტიკოდან“ შეიძინეს, თავისი მაღალი შედეგიანობით არის ცნობილი.

ინგლისურ პრესაში წერდნენ იმაზე, რომ მოთამაშეების დიდი ჯგუფი (ფრანკ ლებეფი, დიდიე დეშამი, დან პეტრესკუ, ჯორჯ ვეა) დატოვებდა „ჩელსის“. ჯერჯერობით არაფერი კონკრეტული გადაწყვეტილება არ არის მიღებული. გუნდში აღარ არის მხოლოდ ვეა.

ჯანლუკა ვიალი

ბივი გამრეკელი

იატაკქვეშეთიდან – მსოფლიო არენაზე!

ბილიარდის ფედერაციის ყრილობა

ადრე აკრძალულად მიჩნეულ სპორტის სახეობათა შორის, სპორტული ბილიარდი ერთ-ერთი პირველია, რომელიც ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა იატაკქვეშეთიდან. შეიქმნა ფედერაცია, რომელიც აღიარა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა როგორც საქართველოში სპორტის ამ სახეობის კოორდინატორი, მიანიჭა ეროვნული სტატუსი და რეკომენდაცია გაუწია საერთაშორისო ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად. დღეს ჩვენი ფედერაცია არის მსოფლიო ასოციაციის, აგრეთვე ევროპის კონფედერაციის წევრი და წარმომადგენელია საბილიარდო სპორტის საერთაშორისო კომიტეტში.

„საბილიარდო სპორტს დღეს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჰყავს მიმდევრები, ტარდება ეროვნული ჩემპიონატები, რეგიონული, საქალაქო თუ რაიონული პირველობები, რჩეულები მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებში. მიღწეულია თვალსაჩინო წარმატებები“ – თქვა საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს სპორტული ნარდის ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ალექსიძემ ამ ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე.

ყრილობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი საერთო სირთულეებისა, საბილიარდო სპორტი ქვეყანაში ვითარდება და ამაში დიდია სპორტის ამ სახეობის ძველი და ახალი თაობების ერთობლივი ძალისხმევა ენთუზიასტებთან ერთად. ბევრი მათგანი ყრილობაზე ფედერაციის საპატიო წევრად აირჩიეს. სპორტის ამ სახეობის პოპულარობაზე მეტყველებს ისიც, რომ შეიქმნა საქართველოს ბილიარდის მოყვარულთა საზოგადოება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი პიროვნება, პროფესორი თამაზ შილაკაძე. გამოცხადდა, რომ რეიტინგით სადღეისოდ ჩვენს ქვეყანაში პირველი ნომერია თეიმურაზ დონაძე.

ყრილობამ დააკმაყოფილა ცალკეული კლუბების თხოვნა და ისინი ფედერაციაში იურიდიულ წევრად გააფორმა. ითქვა, რომ ამიერიდან საბილიარდო სპორტი შეტანილია სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა მსოფლიო თამაშების პროგრამაში, რომელიც 2001 წელს ჩატარდება იაპონიაში, იქ კი საქართველოს წარგზავნილებიც იასპარეზებენ. საქართველოს ფედერაცია ქალთა შორის ბილიარდის მასობრივად დანერგვაზეც იზრუნებს.

საქართველოს სპორტული ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ყრილობამ ერთხმად კვლავ დავით ალექსიძეს დაუჭირა მხარი. ახლად არჩეული პრეზიდენტის წინადადებით აჭარისთვის დაუშვეს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის შტატი. ყრილობამ ამ თანამდებობაზე თემურ კახიძე, მეორე ვიცე-პრეზიდენტად გიორგი იმერლიშვილი, გენერალურ მდივნად ავთანდილ სამადაშვილი აირჩია.

სააგენტო „ბუმათე“

„ქობულეთი-2000“

ქობულეთში მიმდინარეობს საჭადრაკო შეჯიბრებები „ქობულეთი-2000“. დასრულდა საქართველოს პირველობა 10 და 14 წლამდე ჭაბუკებს და გოგონებს შორის, რომელიც საქართველოს განათლების სამინისტრომ ჩაატარა.

10 წ. ჭაბუკები: 1. დავით ბენიძე (ქუთაისი) — 8 ქულა, 2. ზვიად ფაცია (ზუგდიდი) — 8, 3. ზურა ქელბაქიანი (ქუთაისი) — 6,5. ***გოგონები:*** 1. თინათინ ბერიძე — 9, 2. ნინო კეკელიძე (ორივე — ბათუმი) — 7, 3. თიკო ჯაჭვაძე (საგარეჯო) — 6,5.

14 წ. ჭაბუკები: 1. გიორგი ყუფარაძე (ქუთაისი) — 8 ქულა, 2. დავით ცეცხლაძე (ოზურგეთი) — 6, 3. გიორგი გამზარდია (ფოთი) — 5,5. ***გოგონები:*** 1. ნინო ადეიშვილი (ქუთაისი) — 6. 2. სალომე ჰოხონელიძე (ქუთაისი) — 5,5, 3. თინათინ თევზაძე (ქუთაისი) — 5,5.

მსოფლიოში მეორე პრიზიორები და ჩემპიონები

მონტეკარლომ ივლისის მეორე დეკადაში სპორტული ნარდის ოსტატთა ტრადიციულ მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა. როგორც ადრე გაუწყეთ, ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებიც გაემგზავრა 12 წევრის შემადგენლობით. დელეგაციას ხელმძღვანელობდა ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი აკაკი კიკალეიშვილი. ბოლო 10 წელიწადია, საქართველოს წარგზავნილები მონაწილეობენ ამ ჩემპიონატში, მაგრამ წლევანდელმა წარმატებებმა ყველა ადრინდელს გადააჭარბა. 75 ქვეყნის 132 პროფესიონალ გუნდს შორის ჩვენებმა ფინალში გააღწიეს, სადაც გერმანელთა უძლიერეს ნაკრებს შეხვდნენ. მატჩი გერმანელებმა მოიგეს 2:1. საქართველოს ნაკრებში თამაშობდნენ არჩილ ოდიშარია, გიორგი მალალდაძე, კახაბერ ნაჭყებია და ლაშა კიკვაძე. ნაჭყებიამ და კიკვაძემ მოყვარულთა შორის მოიპოვეს ჩემპიონობა.

რ. ყარსელი

სურათზე: მარცხნიდან — კახაბერ ნაჭყებია, არჩილ ოდიშარია, გიორგი მალალდაძე, ლაშა კიკვაძე და აკაკი კიკალეიშვილი (დგას ფეხზე).

რობერტ ბაგრიანის ფოტო.

IV-დან – II-ზე, გაისად?

მეორე გვერდიდან

● ***შარშანწინ, I ჩემპიონატში, მეოთხე ადგილზე გახვედით, რაზედაც „ლელო“ წერდა, წლეულს?***

— ამჯერად ვერცხლის მედალი მოვიპოვე. ფინალამდე დამაჯერებლად მოვუგე ჰოლანდიელ, ბულგარელ, გერმანელ, ლატვიელ მოჭიდავეებს. სამწუხაროდ, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ნეკნი დავიზიანე და ეკატერინბურგელ ვალერი პეტროვს მედგარი წინააღმდეგობა ვერ გავუწიე და დავმარცხდი 4:5. სხვათა შორის, პეტროვმა I ჩემპიონატშიც გაიმარჯვა.

● ***სამშობლოში კმაყოფილი დაბრუნდით?***

— ცხადია, შედეგით კმაყოფილი ვარ და თქვენი გაზეთის მეშვეობით კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც დამეხმარა. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო აგრეთვე ჩემი სამსახურის კოლექტივი — I კლინიკური საავადმყოფოს მედპერსონალი.

მაცოცხლებელი ფესვების მადლი

ეროვნული ტრადიციების გარეშე ადამიანად, ხოლო ქვეყანა ქვეყნად ვერ იქცევა. ეს ტრადიციები მამულისათვის თავდადებულ წინაპართა გულითა და გონებითაა ნასაზრდოები, მათი მუხლჩაუხრელი შრომით გახარჯული დღეებისა თუ უძილო ღამეების ნაყოფია. თუკი რამ ამქვეყნად მნიშვნელოვანი და მარადიულობის ნიშნით აღბეჭდილი შექმნილა — მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციებთან, როგორც უძვირფასეს საგანძურთან ზიარებით.

ეროვნულ ტრადიციებზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით საჭიროა დღეს, ცივილიზაციის მრავალსჯრთულიან, რკინის ბუდეებში გამოჩეკილი საცდურებისა და ტკბილი შხამით გაბრუებული ხმების ეპოქაში, როდესაც ჩვენი ახალგაზრდობა ასეა მოხიბლული საკუთარ წიაღში შობილი თუ დროის ქარებს ოთხივე მხრიდან მოყოლილი „სასწაულებით“: ფილმებით — პირველ რიგში, ტელესერიალებით (რომელთაც ჭეშმარიტ ხელოვნებასთან საერთო არაფერი გააჩნია), მუსიკით (რომელიც ზოგჯერ კარგიცაა, მაგრამ შენსას ვერ შეედრება და, სამწუხაროდ, იმ შენსას გავიწყებს), ჩაცმულობით (რომელიც, რაც უფრო ძვირადღირებული და თვალში საცემია, მით უფრო გვაგრძნობინებს ადამიანის სულიერ სილატაკეს).

როდესაც გულგრილობისა და დავიწყების მტვერწაყრილი ტრადიციების გადასარჩენად შემართულ ადამიანს იხილავ, ამ დროისა და ქვეყნის შემყურეს, ფიქრის ფრთები გიყუჩდება და თითქოს მთლიანად ჩამქრალი იმედი ფენიქსივით ცოცხლდება...

* **

ნუკრი მჭედლიშვილი გლდანის რაიონის მკვიდრია, განათლებით ისტორიკოსი, მთელი არსებით სპორტთან, კერძოდ, ქართულ საბრძოლო ხელოვნებასთან დაკავშირებული, მუხიანში არსებული ქართული საშუალო სკოლა „ლაშარის“ ერთ-ერთი ახალგაზრდა პედაგოგი, ამავე სკოლაში ხრიდოლის კლუბის დამაარსებელი და მწვრთნელი, ლადო მეცხვარიშვილთან ერთად (ნუკრი და ლადო ყოფილი მოჭიდავეები არიან — ჭიდაობდნენ ძიუდოსა და სამბოს, საკმაოდ კარგად არიან გაწაფულნი სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა კარატე, კიკ ბოქსინგი, აიკიდო).

საქართველოს ისტორიის საფუძვლიანმა შესწავლამ, სპორტულმა ხასიათმა და, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ტრადიციების ერთგულებამ ნუკრი მჭედლიშვილი ისეთ მრავალფეროვან და საინტერესო (სამწუხაროდ, ლამის ქვეყნისაგან დავიწყებულ) ფენომენთან მიიყვანა, როგორიცაა ქართული საბრძოლო ხელოვნება. მას, თანამზრახველებთან ერთად, დიდი ნათელი მიზანი ამოძრავებდა — ქართული საბრძოლო ხელოვნების აღდგენა საქართველოში. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ჯგუფი, ხოლო ამ, უკვე მოქმედი ჯგუფის საფუძველზე 1993 წელს ჩამოყალიბდა ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია — „ხრიდოლი“.

* **

ჩვენამდე ქართული კრივის სამი სახეობაა მოღწეული: „სალდასტი კრივი“, „მუშტი კრივი“ და „ხრიდოლი“.

„სალდასტი კრივი“ (სალდასტი — ხის ხმალი) ხის ხმლებით მიმდინარეობდა. მასში ხშირად 6000 კაცამდე მონაწილეობდა. შუაზე გაყოფილი ქალაქი — სიონს ზემოთა და სიონს ქვემოთა — ერთმანეთს ეკრივებოდა. მხარეების უშუალო შერკინებამდე შორი მანძილიდან შურდულებით ქვის სროლაც შეიძლებოდა, რის გამოც კრივის ამ სახეობას „ქვის კრივსაც“ უწოდებდნენ. შერკინების დროს ჭიდაობის ილეთებსაც იყენებდნენ; დასაშვები იყო მუშტისა და ფეხის დარტყმაც. ამგვარი შეჯიბრება გახლდათ თავისებური სამხედრო მანევრი, რომელსაც ქალაქი წელიწადში რამდენჯერმე აწყობდა ხოლმე.

ქართული კრივის მეორე სახეობა „მუშტი-კრივი“, რომელიც მხოლოდ მუშტსა და თავის ხმარებას გულისხმობს.

ქართული კრივის მესამე სახეობა — ეს არის „ხრიდოლი“ — კრივი ცალი ხელით. ეს გახლდათ ჭეშმარიტად დიდოსტატთა კრივი.

როდესაც ხრიდოლის მიმდევარი ფიზიკური და სულიერი სრულყოფილებით გამოირჩეოდა, კარგად ფლობდა სალდასტი კრივსა და მუშტი კრივსაც, ამასთანავე, იყო მოჭიდავეც, მას ცალი ხელითაც შეეძლო კრივი. არცთუ იშვიათად იმდენად დიდი იყო ხრიდოლიონთა უპირატესობა, რომ ისინი დიდი ასპარეზობებისას მეტოქეებს დაჩოქილნიც წარმატებით ებრძოდნენ.

ხრიდოლი მარტო ხრიდოლი არაა. იგი ქართული საბრძოლო ხელოვნების სახეობათა თავისებური სინთეზია, კრებითი სახეა და ამიტომაც ბუნებრივი და გამართლებულია ნუკრი მჭედლიშვილისა და მისი თანამოაზრეების გადაწყვეტილება, რომ ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციას „ხრიდოლი“ ეწოდოს.

ასევე ბუნებრივი და გამართლებულია ჩანაფიქრი, რომ ხრიდოლის მიმდევარი „ხრიდოლიონად“ იწოდებოდეს. ხრიდოლის მიმდევრის აღმნიშვნელი სახელი ისევეა ნაწარმოები, როგორც მაგალითად: შატილიონი, არხოტიონი, მაყრიონი, ჩხუბიონი, (მოჩხუბარი).

„ხრიდოლიონი“ ძველი ქართულის ლაზათსა და სურნელს გვაგრძნობინებს. სიტყვა (ამ შემთხვევაში „ხრიდოლი“), რომელიც თვითონ ქართული ენის უძველესი საგანძურიდანაა მოხმობილი, რა თქმა უნდა, ასევე ქარულ დაბოლოებას საჭიროებდა და, „კარატისტის“, „ძიუდოისტისა“ თუ „სამბისტის“ მსგავსად („კარატე“, „ძიუდო“, და „სამბო“ ქართული არაა), უცხოური წარმოშობის სუფიქსს ვერ მოირგებდა.

* **

ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის წევრებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოიძიეს ქართული ჭიდაობისა და კრივის ოცამდე სახეობა, ცივი იარაღის (ხმლისა და ა.შ.) ხმარების ორიგინალური, საუკუნეთა სიღრმეებში ნაწრთობი და დახვეწილი წესები.

ჯგუფის წევრები (ისინი ყოფილი სპორტსმენები — მოჭიდავეები, მოკრივეები და კარატისტები არიან) თავდაუზოგავი ვარჯიშით ითვისებდნენ მათ მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიგნებული ჭიდაობისა თუ კრივის ურთულეს და ულამაზეს ილეთებს, ამუშავებდნენ და სისტემაში მოჰყავდათ დიდი რუდუნებით მოპოვებული ლიტერატურული და ეთნოგრაფიული მასალები.

1994 წლიდან ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია — „ხრიდოლის“ წევრებმა დაიწყეს თბილისში ხრიდოლის კლუბების ჩამოყალიბება, რომლებშიც მოსწავლეები ქართული საბრძოლო ხელოვნების საიდუმლოს ეზიარებიან.

ნუკრი მჭედლიშვილმა ქართული ტრადიციებისადმი ერთგულება და ეროვნულ საგანძურთან შინაგანი სიახლოვე სპორტულ ხარისხებთან დაკავშირებითაც გამოამჟღავნა: მან გვერდი აუარა უკვე დაკანონებულ, მაყურებლისა თუ მკითხველისათვის გათავისებულ ტერმინებს („სპორტის ოსტატი“, „პირველთანრიგოსანი“, „მეორეთანრიგოსანი“ და ა.შ.) და ძველი ქართული წოდებები აღადგინა. ამ წოდებებს მოიცავს თორმეტსაფეხურიანი „მენაკთა რიგი“ (მენაკი — „ესე არს ხარისხი“. საბა). ამა თუ იმ წოდების მინიჭება ხდება გამოცდების ჩაბარებისა და, რა თქმა უნდა, გარკვეული სპორტული მიღწევების საფუძველზე. აი, რამდენიმე წოდება „მენაკთა რიგიდან“: ჩაუქი, მორკინალი, მომეტე, ოსტატი და ა.შ.

დღესდღეობით, გარდა დედაქალაქისა, ხრიდოლის კლუბები გახსნილია ქუთაისში, სენაკში, ახალციხეში, ადიგენსა და ბოლნისში. თბილისში მოქმედებს 7 კლუბი. ამ კლუბებს შორის ხშირად იმართება შეჯიბრებები ქართულ კრივსა და ქართულ ჭიდაობაში. კლუბები მონაწილეობენ, აგრეთვე, სხვადასხვა ასპარეზობებში — კერძოდ, კარატესა და ხელჩართულ ბრძოლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხრიდოლის კლუბებისათვის ნებისმიერი გასვლა გუნდური გამარჯვებით სრულდება.

ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია უახლოეს ხანებში ხევსურულ ფარიკაობაში მოაწყობს შეჯიბრებას. განზრახული აქვთ, მოსწავლეებს შეასწავლონ ცხენოსნობაც.

* **

ქართულ საშუალო სკოლა „ლაშარში“ მოქმედი ხრიდოლის კლუბი — „იბერიელი მგლები“ უძლიერეს კლუბადაა აღიარებული. ჯერჯერობით ჩატარებულ ყველა შეჯიბრებაში „იბერიელმა მგლებმა“ პირველი ადგილი დაიკავეს. ამ კლუბში 65 ხრიდოლიონია გაერთიანებული. სამი დღე ეთმობა უშუალოდ საბრძოლო ხელოვნებას, ხოლო ორ-ორი დღე — ცეკვასა და სიმღერას.

საოცრად ლამაზი და შინაარსიანია „იბერიელი მგლების“ ნებისმიერი ვარჯიში. იგი იწყება ლოცვით. ხრიდოლიონები, მწვრთნელთან ერთად, ჯერ უფალსა და სამშობლოს ადიდებენ; შემდეგ, ვარჯიშის დაწყებამდე, 10 წუთის განმავლობაში, იხსენებენ, თუ ვინ და ვისი გორისანი არიან, მათი მზერა საქართველოს ისტორიის დიდი ტკივილებით დამძიმებულ ფურცლებს დასტრილებს. მწვრთნელები მოსწავლეებს მოუთხრობენ ქართველთა მიერ გადახდილ ბრძოლებზე, საუბრობენ ამა თუ იმ მეფის, გამოჩენილი მებრძოლისა და, საერთოდ, კარგი ქართველის სახეზე. ასევე მათი საუბრის თემაა ქრისტიანული რელიგია თუ ადამიანის მისია უფლისა და მამულის წინაშე. ამ საუბრების მიზანი ერთია — მომავალი თაობის სულიერ სამყაროში წარსულის ნათელი და ნაღვლიანი ბინდიდან გამოხმობილი ხმებისა თუ სახეების წყალობით გაალვიძოს და მერე თანდათან სასურველ სიმაღლეზე აიყვანოს ეროვნული ღირსებისა და სიამაყის განცდა, მამულისთვის მუხლჩაუხრელი შრომისა და თავგანწირვის ნიჭი.



* **

ეროვნული ტრადიციების — ამ მარადიული და მაცოცხლებელი ფესვების — ოქრო წარსულის მხარეებშია დაკრისტალებული. „ეს ის სიმდიდრეა“, რომელიც არამარტო გონების, გულის თვალებითაც უნდა მოიძიო, გარდასულ დროთა შრეებში ჩარჩენილი (ჩვენთვის შექმნილი, მაგრამ ჩვენგან დავიწყებული), სამზეოზე გამოიტანო და შენს ხალხს (უპირველესად კი ახალგაზრდობას) გაუწოდო, როგორც სულიერი განწმენდისა და ამაღლებისათვის უკვდავების წყაროსავით საჭირო ელექსირი. ეს დიდი, საშვილიშვილო საქმეა. ამგვარ საქმეს შეჭიდებული ადამიანი ტაძრის მშენებელს წააგავს — უფალსა და მამულს ემსახურება. ნუკრი მჭედლიშვილი და მისი მეგობრები ამ საქმით ცოცხლობენ, ამ საქმით ხარობენ და იტანჯებიან, ხოლო მომავალი თაობების სამსახურით განცდილ ტანჯვასა თუ სიხარულს ვერაფერი შეედრება ამ ქვეყანაზე.

ვაჟა ხორნაული

პროფესიული კრივის სამყაროში

რა ღირს ტაისონის „მილიონიან წამებს" უკან...



მსოფლიოში ყველაზე პოპულარულმა და იმავდროულად, ყველაზე სკანდალურმა ამერიკელმა პროფესიონალმა მოკრივემ, მაიკ ტაისონმა, ამას წინათ, თანამემამულე ლუ სავარეზეს სულ რაღაც 38 წამში ნოკაუტით რომ სძლია, გასამრჯელოდ 9 მილიონი დოლარი მიიღო. ე.ი. 236 ათასი წამში. ეს არ არის დროის მცირე მონაკვეთში „ფულის შოვნის" აბსოლუტური რეკორდი, რომელიც მას ეკუთვნის, 1995 წლიდან, როცა „რკინის მაიკმა" შეხვედრის 89-ე წამზე ნოკაუტში გაისტუმრა მეტოქე პიტერ მაკინლი, რისთვისაც 25 მილიონი დოლარი ჩაიჩხრიალა ჯიბეში, ესე იგი, 280 დოლარი წამში.

საინტერესოა, რომ ტაისონის შემდეგ ყველაზე მაღალი ერთდროული ჰონორარი მოპოვებული აქვს ამერიკელ მოჭადრაკეს ბობი ფიშერს 1992 წელს ბორის სპასკისთან გამარჯვებაში — 3 368 000. მესამეა დუბაიში მსოფლიო თასის გამარჯვებული ბედაურის მხედარი — 2281000 $.

სხვათა შორის, ტაისონის მილიონებს ყველა ერთნაირად როდი აღიქვამს. ტაისონისაგან განსხვავებით, სამშობლოში ჩასულმა ინგლისელმა მძიმეწონოსანმა ლენოქს ლიუისმა ვიზიტის დღეები ლონდონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე საწვრთნელ დარბაზში გაატარა. მან ეს ფაქტი ასეთნაირად განმარტა: „სულაც არ მინდა ჩემი პერსონა დასათვალიერებლად გამოვფინო და პირადი ცხოვრება ბინძური საგაზეთო სტატიების მასალად ვაქციო. ტაისონმა აკეთოს ეს, ისეირნოს ქუჩებში, შეიძინოს ძვირფასი სამაჯურები და მანქანები, წაეჩხუბოს პრომოუტერს — ჩემგან ამას ვერ ეღირსებიან", — თქვა ლენოქსმა.

თავის მოკრივეს მხარი დაუჭირა პრომოუტერმა პანოს ელიადისმა. — „ეს ტაისონი", — თქვა მან. — ნატურალური კლოუნია. თავისი მოქცევით რინგზე და მის მიღმა უაზრო გამოხდომებით კრივი ნამდვილ საცირკო წარმოდგენად აქცია". ელიადისმა გააკრიტიკა მისი ბოლო ბრძოლაც ლუ სავარეზესთან და თქვა: „ასეთი ფარსი ჩრდილში აქცევს მთელ პროფესიულ კრივს, საკითხავია, რაში გადაიხადა ხალხმა ფული ბილეთების შესაძენდა? ნახევარ წუთს რომ ეცქირა როგორ ურტყამენ ამ უსუსურობას? ამ „კლოუნადის" შემდეგ, რომელიც ტაისონმა ბრიტანეთის კუნძულებზე მოაწყო, ინგლისის საზოგადოებრიობას კრივის ყოველგვარი ინტერესს წაუხდენს".

მეექვსე რაუნდამდე გაუძლო

პროფესიულ კრივში მძიმეწონოსანთა შემდეგ, ალბათ, 63,5 კგ წონით კატეგორია შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე ინტრიგულად. თუმცა, კატეგორია აქ არაფერ შუაში უნდა იყოს, ვინაიდან ამ ინტრიგას თვით ამ წონის მოკრივეები ქმნიან. „ლელოს" მკითხველებს უნდა ახსოვდეთ ამ წონის ფავორიტები მექსიკელ ხულიო ჩავესისა და ამერიკელ ოხაიას ტრინიდატის ხანგრძლივი დებატები და პროგნოზები რინგზე შეხვედრის წინ, რომელიც პირველის წარმატებით დამთავრდა, რის შემდეგაც იგი ყოფილ რუსეთელ კონსტანტინ ცზიუს (ახლა ავსტრალიის სახელით გამოდის) უნდა შეხვედროდა WBC-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონობის სახელისათვის.

ეს შეხვედრა შაბათს გაიმართა და მხოლოდ 6 რაუნდს გაგრძელდა. მანამდე კი კ. ცზიუმ რამდენჯერმე ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე. ბრძოლის ამ მონაკვეთში მორიგი ნოკდაუნის შემდეგ რეფერიმ რინგზე შეწყვიტა ორთაბრძოლა ცზიუს აშკარა უპირატესობის გამო, რომელმაც შეინარჩუნა უძლიერესის სახელი ამ ვერსიით.

სპორტული აგვისტო

თვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებების კალენდარი

2-6. აკადემიური ნიჩბოსნობა (არაოლიმპიური პროგრამით). მსოფლიო ჩემპიონატი. ხორვატია

26.VII-2. ფეხბურთი. 2000/2001 ჩემპიონთა ლიგა. მე-2 შერჩევითი რაუნდი.

8-9; 22-23. ფეხბურთი. 2000/2001 ჩემპიონთა ლიგა. მე-3 შერჩევითი რაუნდი.

10-24. ფეხბურთი. 2000/2001 უეფას თასი. შერჩევითი რაუნდი.

26.VI-2. ინტერტოტო-2000-ის თასი. ნახევარფინალები.

8-22. ინტერტოტო-2000-ის თასი. ფინალი

ნატურბანი. ევროპის საზაფხულო ჩემპიონატი. ავსტრია

13. ფორმულა-1. უნგრეთის გრან-პრი. ბუდაპეშტი.

27. ფორმულა-1. ბელგიის გრან-პრი. სპა-ფრანკორშამი.

„ტოტო-ლოტო"

29-ე ტირაჟის შედეგები 29-30.07.2000

ლოტო 6-42

3 4 13 31 36 39

გათამაშებაში მონაწილეობდა 10268 ვარიანტი

6 რიცხვი	0	X	29 679.50 ლ. გადადის 30-ე ტირაჟში
5 რიცხვი	0	X	380.80 ლ. გადადის 30-ე ტირაჟში
4 რიცხვი	14	X	18.30 ლ
3 რიცხვი	274	X	1.60 ლ

სუპერ 7

7 9 2 1 4 7 5

7921475	50 000 ლარი	475	50 ლარი
921475	15 000 ლარი	75	3 ლარი
21475	5 000 ლარი	5	50 თეთრი
1475	500 ლარი		

„ტოტო-ფეხბურთი" 12 მატჩი

X2X 1X1 X11 122

გათამაშებაში მონაწილეობდა 2638 ვარიანტი

12 შედეგი	0 X 5000.00 ლ.	გადადის 30-ე ტირაჟში
11 შედეგი	0 X 131.90 ლ.	გადადის 30-ე ტირაჟში
10 შედეგი	0 X 131.90 ლ.	გადადის 30-ე ტირაჟში

30-ე ტირაჟის პროგრამა

5-6 ივლისი

„ტოტო-ფეხბურთი" 12 მატჩი

1.	საფ.	რენი - პსჟ	20-20-60
2.	საფ.	სედანი - ლიონი	20-40-40
3.	საფ.	ბასტია - ბორდო	20-40-40
4.	საფ.	მეცი - ოსერი	40-30-30
5.	რუს.	ტორპედო - ცსკა	60-20-20
6.	რუს.	ჩერნომორეცი - ზენიტი	40-40-20
7.	რუს.	ნ. ნოვგოროდი - ურალანი	30-40-30
8.	შოტ.	სტ. ჯონსტონი - პართსი	20-40-40
9.	შოტ.	კილმარნოკი - რეინჯერსი	20-20-60
10.	ნორ.	ბოდო გლიმტი - სტაბეკი	30-30-40
11.	ნორ.	ტრომსიო - ბრანი	20-30-50
12.	შვედ.	ჰელსინბორგი - ჰალმსტადი	30-30-40

30-ე ტირაჟის ბილეთები რეგისტრაციაში გააგზავნეთ 4 აგვისტოს ჩათვლით

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

1 – 3 აგვისტო
სპორტი ცისფერ ეკრანზე

1 აგვისტო, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „ფუტბოლ მუნდიალი" (22.20), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი: გერმანიის ჩემპიონატი – ბავარია – კაიზერსლაუტერნი (13.15), ინგლისის - სანდერლენდი – მანჩესტერ იუნაიტედი (15.40), ესპანეთის სარაგოსა – დეპორტივო (19.25), ჰოლანდიის – პსვ ეინდჰოვენი – ფეიენოორდი (21.30), ბრაზილიის ჩემპიონების თასი. ნახევარფინალი: პალმეირასი – ფლამენგო (17.25), საერთაშორისო მატჩი: მილანი – რეალი. მიძღვნილი კლუბების 100 წლისთავისადმი, პირდაპირი რეპორტაჟი (23.55), ***ESPN.*** საპლაჟო ფეხბურთი (9.00, 1.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (13.30, 18.00), ცხენოსნობა. კონკურისტთა შეჯიბრება (17.00), ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი: მილანი – რეალი (1.00).

2 აგვისტო, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. „ფუტბოლ მუნდიალი" (12.30), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** საერთაშორისო მატჩი. მილანი – რეალი (13.15), გავიხსენოთ განვლილი სეზონი: ესპანეთის ჩემპიონატი – სარაგოსა – დეპორტივო (15.25), ჰოლანდიის – პსვ ეინდჰოვენი – ფეიენოორდი (17.15), ესპანეთის – სარაგოსა – ბარსელონა (19.15), ჩემპიონატთა ლიგის საკლასიფიკაციო რაუნდი (21.00, 23.10), „საფეხბურთო გეოგრაფია". ლატვია (0.55), ***ESPN.*** საპლაჟო ფეხბურთი (9.00, 2.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. საერთაშორისო მატჩი (13.00), ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (17.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის საკლასიფიკაციო მატჩი (0.00)

3 აგვისტო, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. კავკასია. „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის საკლასიფიკაციო რაუნდი (13.15, 15.00), გავიხსენოთ განვლილი სეზონი. ესპანეთის ჩემპიონატი – სარაგოსა – ბარსელონა (17.15), გერმანიის – ფრაიბურგი – ბავარია (19.45), ჰოლანდიის პსვ ეინდჰოვენი – აიაქსი (22.25), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (21.45). ***ESPN.*** ოლიმპიური თამაშები (13.30, 18.00). ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (11.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდი (13.00, 18.00), მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (17.00), ფეხბურთი. ამხანაგური ტურნირი იტალიაში (23.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00).



ვერც ჰინგისი ითამაშებს

მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა მარტინა ჰინგისმა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი გამოტოვა, დასვენება არჩია. ამ დღეებში იგი შეხვდა თავის მენეჯერ მარიო უილმერს, რის შემდეგაც მიიღო გადაწყვეტილება არ ითამაშოს სიდნეიში, ოლიმპიადაზე.

— საქმე ის არის, რომ ოლიმპიადა სტარტს აიღებს აშშ-ს ღია ჩემპიონატის (ფლეშინგ მიდოუს) დამთავრებიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ. თვეზე მეტი ხნის განმავლობაში აშშ-ს „სწრაფ კორტებზე" თამაშის შემდეგ ძალიან ძნელი იქნება ავსტრალიურ სულ სხვაგვარსაფარიან კორტებზე გადართვა.

საინტერესოა, რომ 15 წლის მარტინა თამაშობდა ატლანტის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირში, სადაც მეორე წრეში დამარცხდა.

მარტინა ჰინგისი ბოლო 5 წლის განმავლობაში თამაშობდა ავსტრალიის ღია პირველობებზე, სადაც სამჯერ გაიმარჯვა, ახლა კი ვერ ახერხებს სიდნეიში გამგზავრებას, თუმცა ადრე გამოთქვამდა ამის სურვილს.

მილანში დიდი სკანდალი მზადდება ვან ბასტენს, გულიტსა და რაიკაარდს სასამართლო ელით

ჰოლანდიური ფეხბურთის სამ ვარსკვლავს — ვან ბასტენს, გულიტსა და რაიკაარდს ბრალად ედებათ იტალიის მთავრობისათვის გადასახადების დამალვა. ისინი ათი წლის წინათ ერთად გამოდიოდნენ „მილანის" შემადგენლობაში და, თურმე, გამოძიების ვერსიით, ვან ბასტენმა უკანონო შემოსავლის სახით 47 მილიონი გულდენი მიიღო (20 მილიონი დოლარი), გულიტმა — 20 მილიონი, რაიკაარდმა — 9. მილანის პროკურატურამ, რომელიც ამ საქმეს იძიებს, გამოარკვია, რომ „შესანიშნავმა ტრიომ" აღნიშნული თანხები პირად ანგარიშზე კაიმანის კუნძულების ბანკში გადარიცხა. იტყობინებიან, რომ სასამართლო სექტემბერში გაიმართება.

იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი, ხონის რაიონის საფეხბურთო გუნდის მწვრთნელი

ჯაბა სანოძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კროსვორდი №59



თარაზულად: 2. ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ქვეყანა, 4. ძალოსნობაში ორჭიდის პროგრამა, 8. ცნობილი იუგოსლაველი საფეხბურთო მწვრთნელი, 10. პირველი ქართველი დიდოსტატი ვაჟი-მოჭადრაკე, 11. რუსული ავტომობილი, 12. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, 13. ქართველი მოკრივე — ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, 16. კორეელი ფეხბურთელი, მჩ მონაწილე (1998 წ.), 18. მატჩის ერთი ნახევარი, 20. მექსიკელი ფეხბურთელი 1998 წ. მ/ჩ მონაწილე, 21. წარსულში ცნობილი ქართველი ტანმოვარჯიშე ვაჟი, 23. საქართველოს ძირძველი კუთხე, 24. მხატვრული ნამუშევრების საგამოფენო დარბაზი, 25. ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად სფფ-ს თანამშრომელი, 27. ყვლის სახეობა, 29. წარსულში ცნობილი ქართველი წყალბურთელი, 30. ტალანტი, ანუ...

შვეულად: 1. სამხრეთ ამერიკის ქვეყანა, 3. ფეხბურთელი — წარსულში თბილისის „დინამოს" მეკარე, 5. აშშ-ს პრეზიდენტი, 6. ცეკვის ძველქართული ტერმინი. 7. ტანვარჯიშული ინვენტარი, 8. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 9. ცურვის ყაიდა, 10. ქართველი მოჭიდავე, ოლიმპ. ჩემპიონი, 14. მსოფლიო ალპინიზმის ცენტრი-ქვეყანა, 15. ძალოსანთა სასპარეზო, 17. პირველი საბჭოთა კალათბურთელი ნბა-ში, 19. მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოდან, 22. მდინარე ევროპაში, 26. სანიავებელი, 28. ბილიარდის ჯოხი.

«კროსვორდი» №58-ის პასუხები:

თარაზულად: 4. ბეშიქთაში, 6. ხურცილავა, 9. ზამორა, 10. კაკულია, 12. ვიერი, 13. წრიაპი, 15. ბაია, 17. ბლიაძე, 18. რურუა, 19. ლამა, 20. ლენტი, 21. დიდი, 24. ხარიხა, 26. ტურნირი, 27. ბალავაძე, 28. ფიდე, 30. სიჭინავა, 32. იტალია, 34. ქველიაშვილი.

შვეულად: 1. არბალეტი, 2. შიშოვი, 3. ვავა, 4. ბარკლი, 5. ინსი, 7. გურია, 8. ზიმბრუ, 11. ჩიბურდანიძე, 14. ატლანტა, 16. ნებიერიძე, 17. ბალცო, 22. ახტაევი, 23. დურდიაძე, 25. როა, 29. აჭიმი, 31. ნავი, 33.ანა.

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კh7 g4 2. ეg6 მფ:e4 3. ეd6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელო" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.